საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 14-15 ივნისი. 2021 წ. №129-130 (9248-9249) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რა დროშა მოგცათ მიშამ!..

პლანეტების აღლუმი თუ უპატარძლო ქორწილი?! ③

ნამირაძეების ბალერინა

გახარიას დაჭერა ნათელაშვილის თავის ტკივილად იქცევა ④

ომარ მარგველაშვილი:

როცა კრიტიკა „კრიტიკოსს“ ბუმერანგივით უბრუნდება! ⑤

ხალხს ვკითხოთ, ხალხს!

ნამახვანჰესი:

მშენებლობის უპირობოდ შეჩერების მოთხოვნა უარყოფილია!

ცნობილი ხდება დირკ ბუშლეს მიერ შეჯამებული დოკუმენტი გუშინ ნამახვანჰესის შესახებ მედიაციის მოსამზადებელი შეხვედრის შესახებ, რომელიც მხარეებს დაეგზავნათ.

დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ მოლაპარაკების პროცესი წინაპირობების გარეშე უნდა დაიწყოს და ამა თუ იმ პრობლემის განხილვა შესაბამის არგუმენტაციას უნდა ეფუძნებოდეს. მშენებლობის უპირობოდ შეჩერების მოთხოვნა უარყოფილია, ხოლო პოლიციის ბარიერების აღებას წინ უნდა უძღოდეს პროტესტის მონაწილეების მშვიდობიანი განცხადებები, რომ ისინი აღარ გამოიყენებენ დესტრუქციულ ქმედებას, ძალადობას და გზების ბლოკირებას კომპანიის წინააღმდეგ.

შეთანხმების პუნქტები პროექტთან დაკავშირებით:

— ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გაასაჯაროებს ინსპექტირების ანგარიშს მშენებლობის ნებართვის შესაბამისობასთან დაკავშირებით (2 კვირა);

— გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაატარებს მოკვლევას გარემოსდაცვით ნებართვის შესაბამისობასთან დაკავშირებით და გაასაჯაროებს (ორი კვირა); — ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო მოამზადებს და დაუგზავნის ყველას ტექნიკურ პირობებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი განხილვისთვის (პარასკევი); — მწვანე ალტერნატივა მოამზადებს და დაუგზავნის ყველას ტექნიკურ პირობებს კონტრაქტის კომერციული პირობების დამოუკიდებელი განხილვისთვის (პარასკევი);

სიტუაცია რიონის ხეობაში:

— რიონის მცველები გააგრძელებენ მშვიდობიან პროტესტს სამშენებლო მოედანზე შესასვლელის დაბლოკვის გარეშე; — პროკურორი განიხილავს და გამოაქვეყნებს დასკვნას დაკავების შემთხვევებზე; — პოლიცია აიღებს არსებულ ბარიერს და უზრუნველყოფს მთავარ გზაზე დაშვებას (პარასკევს); — პოლიცია ორგანიზებას გაუწევს და თან გაჰყვება რიონის ხეობის მცველებს სამშენებლო მოედნის მონახულებისას და დაუშვებს დოკუმენტაციას (პარასკევს);

ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა:

— ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს და დაუგზავნის ყველას საქართველოს ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის იმ თავს, რომელიც ეძღვნება ენერგეტიკულ უსაფრთხოებას (ივლისი);

<u>კახა კალაძე:</u> 13 ივნისი არის დღე, რომელიც ჩვენს დედაქალაქს ყოველთვის ემახსოვრება!

13 ივნისი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი დღეა. ეს არის დღე, რომელიც ჩვენს დედაქალაქს ყოველთვის ემახსოვრება. სამწუხაროა, რომ დავკარგეთ ბევრი ადამიანი და კიდევ ერთხელ მინდა მივუსამძიმრო ამ ადამიანების ოჯახებს, ახლობლებს, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ 13 ივნისს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე განაცხადა. კალაძემ მოქალაქეებს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქალაქის განმენდით სამუშაოებში მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული.

„აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი დღეები, როდესაც ახალგაზრდები გამოჩდნენ, თუ რამხელა ძალა დაინახა საზოგადოებამ და ექვსი წლის შემდეგ კიდევ მინდა გადავუხადო მადლობა ყველას, ვინც ჩართული იყო გაწმენდით ღონისძიებებში, ჩართული იყო იმისთვის, რომ დაზარალებულ მოსახლეობას გვერდით დადგომოდა და ყველაფერი გაეკეთებინა, რომ ეს ტკივილი და სიმძიმე შეემსუბუქებინა. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით და თანადგომით მთელი რიგი პროექტები განხორციელდა. დამონტაჟდა სამონიტორინგო და საალარმე სისტემა, რისი საშუალებითაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდება კონტროლი იმ არეალის, საიდანაც ეს მეწყერი წამოვიდა. დამონტაჟდა ხეობაში ორი ცხაური, რომელიც არის შემაკავებული. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ ეს განმეორდება, ეს იქნება შემაკავებელი ცხაურები. გარდა ამისა, მოხდა ვერეს ხეობის სარეაბილიტაციო, გამაგრების სამუშაოები, რადგან ადიდებულმა მდინარემ კონკრეტული არეალები დააზიანა და ძალიან მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა ამ მიმართულებით. ყველა რეკომენდაცია, რაც მითითებული იყო ექსპერტების მხრიდან, განხორციელებულია“, — განაცხადა კალაძემ.

სალომე ზურაბიშვილი: საქართველო მედიატორის ისტორიულ როლს დაუბრუნდა!

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ფასილიტაციითა და აშშ-ის ჩართულობით მიღწეულ შეთანხმებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ეხმაურება.

„ბატონო ირაკლი, გილოცავთ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჰუმანიტარული შეთანხმების მიღწევას. საქართველო მედიატორის ისტორიულ როლს დაუბრუნდა, აშშ და ევროკავშირი კავკასიაში დაბრუნდნენ. ნდობის შენება მდგრადი მშვიდობისკენ მიმავალი გზაა“, — წერს სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერში“.

ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური როლი მეზობელი ქვეყნების მედიაციაში

ჩვენ ძალიან აქტიური როლი შევასრულეთ, პირადად ვიყავი ჩართული, 24-საათიან რეჟიმში მქონდა სატელეფონო საუბრები ორი ქვეყნის ლიდერებთან, მანამდეც მქონდა შეხვედრები, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, მჭიდრო კოორდინაციაში ვიყავით,

რაც დასრულდა კონკრეტული შედეგით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეული შეთანხმების შეფასებისას განაცხადა. მთავრობის მეთაურმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს და სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, ნიკოლ ფაშინიანს მადლობა გადაუხადა.

„ეს პროცესი დავიწყეთ, დაახლოებით, ერთი თვის წინ, როცა მე მქონდა საუბარი ორივე ქვეყნის ლიდერებთან- პრეზიდენტ ალიევთან და პრემიერ-მინისტრ ფაშინიანთან. პროცესი დავიწყეთ ერთი თვის წინ და გუშინ დავასრულეთ კონკრეტული შედეგით, რაც მართლაც უპრეცედენტოა. საქართველომ ფასილიტაციის თუ ხელშეწყობის როლი იკისრა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, მათი ჩართულობით, შესაძლებელი გახდა 15 სომეხი სამხედროს გათავისუფლება, რომლებიც ომის დროს იქნენ დაკავებულნი. მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, სომხეთმა აზერბაიჯანს გადასცა ძალიან მნიშვნელოვანი მასალა და დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება დანაღმულ ტერიტორიას, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანისთვის. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, მადლობა გადავუხადო ორივე ქვეყნის ლიდერს, პრეზიდენტ ალიევსა და პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს“, — აღნიშნა პრემიერმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: მადლობას ვუხდით ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობას შუამავლის უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებისთვის

ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება აზერბაიჯანის მიერ 15 სომეხი ტყვის გათავისუფლებას და თავიანთ ოჯახებში დაბრუნებას. ჩვენ ასევე მივესალმებით სომხეთის გადაწყვეტილებას, მიაწოდოს აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც განხორციელდება ჰუმანიტარული განაღმვა და თავიდან იქნება აცილებული სავარაუდო მსხვერპლი მომავალში, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი.

„ჩვენ მადლობას მოვახსენებთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობას ამ ზომების მისაღწევად შუამავლის უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებისთვის — ასეთი ნაბიჯები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს რეგიონში მშვიდობიანი მომავლის დამყარებას, რომელსაც მისი მოსახლეობა ნამდვილად იმსახურებს.

ამერიკის შეერთებული შტატები სიხარულით უჭერს მხარს ამ ნაბიჯებს და გამოთქვამს იმედს, რომ ამით საფუძველი ჩაეყრება შემდგომ თანამშრომლობას. ჩვენ კვალავაც მოვუწოდებთ ყველა ტყვის დაბრუნებისკენ და მზად ვართ, დავეხმაროთ რეგიონის ქვეყნებს მათ ძალისხმევაში, გააგრძელონ თანამშრომლობა და მოაგვარონ გადაუჭრელი საკითხები. გარდა ამისა, ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ სომხეთსა და აზერბაიჯანს, დაუბრუნდნენ არსებით მოლაპარაკებებს ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეთა ეგიდით, რათა განიხილონ კონფლიქტის ამომწურავი პოლიტიკური მოგვარების საკითხი“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ნატოს სამიტზე ველოდებით, რომ სათანადოდ იქნება შეფასებული და დაფასებული ჩვენი პროგრესი

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩვენ, ჩვენი მხრივ ყველა ვალდებულებას პირნათლად ვასრულებთ, ის რაც არის განსაზღვრული წინა ნატოს სამიტების დეკლარაციებში თუ მიღებულ შეთანხმებებში — ყველა შეთანხმებას და ვალდებულებას საქართველო პირნათლად ასრულებს. ჩვენ მოველით, რომ ეს სათანადოდ იქნება ასახული და დაფასებული“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დღეს ბრიუსელში გაიმართება ნატოს სამიტი, რომლის ერთ-ერთი განსახილველი თემა საქართველოც იქნება. საქართველოს საკითხი მოხვდა სამიტის დღის წესრიგის იმ ნაწილში, რომელიც წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის მხარდაჭერას ეხება.

ოფიციალური ვიზიტით ეუთოს გენერალური მდივანი გვეწვევა

2021 წლის 14-16 ივნისს, ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) გენერალური მდივანი, ჰელგა მარია შმიდი ეწვევა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ეუთოს გენერალური მდივანი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, კახაბერ კუჭავასთან, საქართველოს ვიცე-პრემიერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, დავით ზალკალიანთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, თეა ახვლედიანთან.

საქართველოში ყოფნისას, ჰელგა შმიდი ეწვევა საოკუპაციო ხაზის მახლობლად მდებარე სოფელ ერგნეთს და მონაწილეობას მიიღებს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრაში. იგი ასევე მონაწილეობას მიიღებს საოკუპაციო ხაზის მახლობლად მდებარე სოფელ ციცაგიანთკარში, წყლის მომარაგების პროექტის ინაუგურაციის ღონისძიებაში.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კირბალი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარეობს. სოფლის ეკლესია და სასაფლაოს ნაწილი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ მიწა-წყალზეა დარჩენილი.

სწორედ ამ ეკლესიასთან მწყემსავდა საქონელს ადგილობრივი მცხოვრები გერონტი პაპიტაშვილი, როცა საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები გამოჩნდნენ. პაპიტაშვილთან ერთად თანასოფელიც იმყოფებოდა, რომელმაც შეიარაღებული პირების გამოჩენისთანავე გაქცევა მოახერხა და ამბავი სოფელს შეატყობინა, გერონტი პაპიტაშვილი კი სამმა შეიარაღებულმა პირმა ოკუპირებული ტყის მიმართულებით წაიყვანა.

60 წლის კაცი გზაში შეუძლოდ გახდა, თუმცა ის ე. წ. საზღვრის აღმნიშვნელ ბანერამდე მაინც მიიყვანეს და იქ ფოტოები, როგორც „საზღვრის“ დამრღვევს, ისე გადაუღეს, ამის შემდეგ კი ქართველ სამართალდამცავებს დაუკავშირდნენ და მალევე გაათავისუფლეს.

გერონტი პაპიტაშვილი ამბობს, რომ სასაფლაოსთან არსებული საძოვარი ყოველთვის სოფლის საკუთრება იყო და საოკუპაციო ხაზი უფრო მოშორებით, ტყესთან გადის. მიუხედავად ამისა, ე. წ. მესაზღვრეები სოფლის სიღრმეში ადამიანების გასატაცებლად მაინც ჩამოდიან.

„სალოცავის გვერდით ვიყავით, საქონელს ვაძოვებდით და იქ მოვიდნენ. გვითხრეს, ჩვენი მიწა-წყალიაო. ჩემთან ერთად მეზობლის ბიჭი იყო. მან გაქცევა მოასწრო და მე დამიჭირეს. თავიდან სამნი იყვნენ, მერე კიდევ სამნი მოვიდნენ. წამიყვანეს მერე თავიაანთ ტრაფარეტთან, დამსვეს ტრაფარეტთან და სურათი გადამიღეს. სალოცავთან ყოველთვის ვაძოვებთ ხოლმე საქონელს. ზემოთ რაღაცა ლენტები აქვთ გაბმული, მაგრამ ჩვენ ქვემოთ ვიყავით. მაინც ქვემოდან შემოგვიარეს და დამიჭირეს. ზევიდან ხშირად გადმოივლიან ხოლმე და როცა მწყემსებს ხედავენ, მათ დასაკავებლად ჩამოდიან. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევები, რომ მწყემსებს გამოჰ კიდებიან“, — აცხადებს გერონტი პაპიტაშვილი.

ამ ფაქტის შესახებ შემთხვევით გაიგეს ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებმა, რომლებიც იმ დროს სოფელში იმყოფებოდნენ და სოციალურ ქსელში ხმაური ატეხეს. მოძრაობის ლიდერ დავით ქაცარავას თქმით, რომ არა მათი აქტიურობა, საქართველოს ხელისუფლება ამ ფაქტს დამალავდა. მისი აზრით, გამყოფ ხაზთან საოკუპაციო ძალა გეგმაზომიერად ქმნის შიშის ზონებს, რათა იქ მცხოვრებ ადამიანებს გაუსაძლისი პირობები შეუქმნას. დავით ქაცარავას განცხადებით, მიმდინარეობს მიწა-წყლის მიტაცების პროცესი და საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ამ პროცესის მიმართ შეუსაბამოა.

„რუსმა ოკუპანტებმა თავიანთ მიერვე დაწესებული ოკუპაციის ხაზი გადმოკვეთეს და სდიეს ჩვენს მოქალაქეს, ჩვენს კონტროლირებად მიწა-წყალზე. ეს პირდაპირ იმის მანიშნებელია, რომ რუსები მაქსიმალურად ცდილობენ ოკუპაციის ხაზი კიდევ უფრო სიღრმეში გადმოიტანონ, იმისთვის რომ მოსახლეობა ვეღარ ავიდეს საძოვრებზე, მათ შეექმნათ პრობლემები. რუსები ასეთი მოქმედებებით და დევნით ნერგავენ შიშს და მოსახლეობა უკვე ერიდება იმ ადგილებს, რომლებიც უწინ მათი საძოვარი იყო და სადაც შიშის გამო ვეღარ მიდიან“.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში კი აცხადებენ, რომ გერონტი პაპიტაშვილის გათავისუფლება მათი სწრაფი მოქმედების შედეგად მოხდა. სოფელ კირბალს ტყის მასივი ესაზღვრება. ტყე 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ არის ოკუპირებული. იქვეა სოფლის სასაფლაო და საძოვარიც. სოფლის მცხოვრებლებს ძროხები სხვაგან ვერ მიჰყავთ, ამიტომ იძულებული არიან, ისევ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს გაუშვან საბალახოდ, იქ კი ხშირად საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები უსაფრდებიან და ხან მწყემსებს და ხან ძროხებს იტაცებენ. ომის შემდეგ სოფელი კირბალი იმით გახდა ცნობილი, რომ ამ სოფლიდან ყველაზე მეტ ადამიანს ე. წ. საზღვრის დარღვევის ბრალდებით აკავებდნენ. ახლა ადამიანები უფრო ფრთხილობენ და ტყეში შესვლას ერიდებიან, მაგრამ ძროხების დაკარგვა უკვე ტრადიციად იქცა. ყოველწლიურად კირბალიდან ათობით სული ძროხა იკარგება. მსგავსი შემთხვევები შარშანაც იყო. მაშინ დაზარალებულ მოსახლეობას ხელისუფლებამ კომპენსაცია გადაუხადა.

საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებებს გამოეხმაურა სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. თეა ახვლედიანის თქმით, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეები დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ.

„საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები და მათი უკანონო პატიმრობა კიდევ ერთი გამოხატულებაა ოკუპაციის. საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურ ძალისხმევას ახორციელებს ყოველდღიურ რეჟიმში და ახლა, მომდევნო დღეებში, „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში ეს იქნება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი. ჩვენ ასევე ვიყენებთ სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებს, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს ჩვენი მოქალაქეების უპირობო გათავისუფლება უკანონო პატიმრობიდან“, — განაცხადა თეა ახვლედიანმა.

15 ივნისს ერგნეთში, „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართება, სადაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ცხინვალის ციხეში მყოფი საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლებას კიდევ ერთხელ მოითხოვენ და ბოლო ხანს კონფლიქტის ზონაში დაფიქსირებულ ინციდენტებს განიხილავენ.

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლების“ კორ. შიდა ქართლში.

რა დროშა მოგცათ მიშამა!

პლანეტების აღლუმი თუ უპატარძლო ქორწილი?!

ეს არის ქართული პოლიტიკა? ესენი არიან პოლიტიკოსები? ესენი ფიქრობენ საქართველოზე? ეს მართლა ჩარჩ-ვაჭრები! ფული, ფული, ფული და მეტი არაფერი. „მივესალმები ტელემაყურებელსო“ რომ ამბობენ, ცალი თვალით ჯიბეში გვიყურებენ. ფუი ამათი ცხოვრების წესს და აზრს!

იმ პარიოდში, რაც არ ვჩანდი, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საკმაოდ ბევრი რამ მოხდა, რამაც გარკვეული მოლოდინები, იმედგაცრუებები გააჩინეს და ფრაზა „ეჰ, ჩვენ აღარაფერი გვეშველება“, ახალ რეესტრში ასწიეს.

პარლამენტი სრულად შეივსო (ცხადია, შალვა ნათელაშვილის იქ არყოფნა სრულად ამართლებს გამონათქვამს — ვირი გინდ ღობის გარეთ დააბი, გინდ შიგნითო, არადა, ბიუჯეტის ფულს ყოვლად უნამუსოდ ხრავს, ქართულ პოლიტიკას კი არაფერს სძენს).

არისტოტელეს მოსაზრება, რომ დემოკრატია ითვალისწინებს მხოლოდ ღარიბების და არა მთელი საზოგადოების ინტერესებს, 21-ე საუკუნის საქართველოში „დაიხვეწა“ და არამატერიალურად ვერშემძლეთა ინტერესების „კრატია“ (მმართველობა) დაამყარა, საზოგადოება კი გონებრივად მდაბიოთა სრული დიქტატურის საშიშროების წინაშე დააყენა.

ძალიან ამაზრზენად სასაცილოა ნაცების „საპარლამენტო წარმომადგენლობა“.

ამაზრზენად სასაცილო.

ეს „საზოგადოება“, რომლებიც მარჯვენა ხელით მხარს უჭერენ რიონის ხეობის დამცველებს იმ მოთხოვნაში, რომ ქართული მიწები არ გაიყიდოს, ამავდროულად **ტვ პირველის** პირდაპირ ეთერში ტაშს უკრავენ და გმირებად რაცხავენ ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას.

ეს „საზოგადოება“ მარჯვენა ხელით აფიქსირებს დასავლური ინსტიტუტების პატივისცემას და მარცხენა ხელით სრულად არღვევენ იმ ევროპულ პრინციპებს, რისკენაც საქართველო მიისწრაფვის.

ეს „საზოგადოება“ მარჯვენა ხელით ადასტურებს თავის დაუმორჩილებლობას და მარცხენა ხელით ხელს აწერს პარლამენტში შესვლას იმის გამო, რომ ჯამაგირი მიიღოს.

ეს „საზოგადოება“ მარჯვენა ხელით არის საქართველოს მომავლის მედროშე და მარცხენა ხელით გუბაზ სანიკიძე და ხათუნა სამნიძე ჰყავს კანონმდებლებად.

და ეს „საზოგადოება“ ორივე ხელით არის ყოველგვარი ქართულის, ნამდვილი ცივილიზებული ყოფის უპირველესი მტერი და ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, ისინი პარლამენტში გვყვანან.

ამ ორიოდ დღის წინ გადაცემაში **„პირველი ხაზი“** ზუსტად გამოჩნდა ის მომხვეჭელი და თაღლითური ბუნება, რაც ამ შეუმდგარ ადამიანებს, ამ ლუზერებს ამოძრავებთ, როცა პოლიტიკაში მიდიან და ოპოზიციურ პარტიებს აფუძნებენ.

გამოჩნდა იმ აჟიოტაჟით, რაც პარტიების დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებს მოჰყვა.

ეს არის ქართული პოლიტიკა?
ესენი არიან პოლიტიკოსები?
ესენი ფიქრობენ საქართველოზე?
ეს მართლა ჩარჩ-ვაჭრები!
ფული, ფული, ფული და მეტი არაფერი.
„მივესალმები ტელემაყურებელსო“ რომ ამბობენ, ცალი თვალით ჯიბეში გვიყურებენ.
ფუი ამათი ცხოვრების წესს და აზრს!
რასაც არ ვწერ, მიხვდებით!

შალვა ნათელაშვილს რატომ ერიცხება ხელფასი და ლეიბორისტული პარტია რატომ იღებს დაფინანსებას?

არ არის ეს მარტივი საკითხი, აქ ბიუჯეტის ფულზე, ჩვენს თანხებზეა საუბარი.

თანხებზე, რაც რამდენიმე სოციალურად დაუცველს წაადგებოდა, რამდენიმე ბავშვს გაახარებდა, რამდენიმე სკვერს გაალამაზებდა.

არ შეიძლება თაღლითობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ეგ კი არა და, წესით უსაქმურად გატარებულ შვიდ თვეში აღებული თანხებიც უნდა დაბრუნდეს.

არადა ყველამ, აი სავსებით ყველამ იცის, რომ ქართულ პოლიტიკურ „სპექტრში“ „მოღვაწე“ ტიპების სრული უმრავლესობა იმ „სპეციალობებში“, რაც ავტობიოგრაფიაში უწერიათ, სრულ ზეროს წარმოადგენენ და რადგანაც არც განათლება და არც შრომისმოყვარეობა არ ჰყოფნით საკუთარი თავი და ოჯახები გამოკვებონ, პოლიტიკას „მიაშურეს“.

თუ ოდნავი იუმორით შევხედავთ, თავისუფლად დავინახავთ, რომ ამ ე.წ. ოპოპოლიტიკოსებს უფრო ნაკლები სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე იმ მამალს, რომელიც ჩინჩლავს.

და ნეტა ვინმეს თუ სჯერა, რომ ფრიად მნიშვნელოვანი და საგულისყუროა დიანა ტრაპაიძის გადაცემაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ნაბიჯებზე ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებული ანალიზი და პროგნოზები?

ან კიდევ ამ **„გუბაზ განთავსებულს“,** რომელმაც **ტვ პირველის ეთერით გვამცნო** — ქართველი მეფეები მოღალატეებს თავებს აჭრიდნენო, შემდეგ ფრაზა დაამთავრა, კისერი მოისინჯა და შვებით რომ ამოისუნთქა, ჰგონია, რომ პოლიტიკოსია?

ან თუ ვინმეს ჰგონია, რომ მაჭუტაძეს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზემოთ ნახსენებ მამალს? იმ მაჭუტაძეს, რომელიც ზის და ფიქრობს — რა მინდოდა პარლამენტში, ვგდებულიყავი შალიკოს ფაჩანტურში. იქ გუგავა გაიქცეოდა და კატლეტს მოიტანდა, აიქ ბოკერია იტყოდა რამე „რეზონულს“ მონუმენტურობის გარეშე. ახლა იჯექი აქ, კაცი არაფერს გეკითხება. გამოდიან ოცნების დეპუტატები და სულ პუნქტ-პუნქტ გახურავენ თავზე, მარა არ გაძღა გუბაზას მუცელი.

ეჰ, როდის გაივლის სამი წელი. აქედან რომ გავალ, ბოკუჩავას დავემშვიდობები და ანა ნაცვლიშვილს დავუმეგობრდები. აუჰ, რა მაგარ ტოლმას აკეთებს...

მოკლედ, საქართველო კი არა, სუფთა ჰოლივუდია, სადაც ყველანაირი დაუჯერებელი რამ შეიძლება მოხდეს.

— სააკაშვილი პრეზიდენტი იყო!
— ხაზარაძე ბიზნესმენია!
— უგულავა დედაქალაქის მერად მუშაობდა!
— „მთავარი“ ტელევიზიაა!
— ნინო ლომჯარია სახალხო დამცველის პოსტს იკავებს.
— ვახტანგ მეგრელიშვილი კანონმდებელია!
— მარიამ გაფრინდაშვილს ჟურნალისტს უწოდებენ!
— ლაშა ბუღაძე მწერალია!
— დავით ჭიჭინაძე ამბობს, რომ პოლიტიკოსია!
— ლევან ბერძენიშვილი ინტელექტუალობას „აწვება“!

დ.ა.შ. და ისევ დ.ა.შ.

მოკლედ, დაუკარით, უპატარძლო ქორწილია!

დაფუძნდა ახალი პარტია, რომლის მიმართ იყო გარკვეული აჟიოტაჟი, რაც გახარიას მიერ პოლიტიკურ ველზე გამოჩენისთანავე დაიწყო. იყო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული კომენტარები თუ შეფასებები და, რაც მთავარია, იყო კითხვები, რომლებსაც, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, პირდაპირ ვიტყვი, რომ პასუხები სავარაუდოდ არ გაეცემა.

ამ კითხვებს, რაც ბუნებრივია მეც მაქვს, მაგალითად, გადადგომის პირველად გახმიანებულ და დღეს ნათქვამ, ასე ვთქვათ, ოდნავ შევსებულ მიზეზთან დაკავშირებით, არ დავსვამ, რადგანაც ზუსტად ისეთ პასუხს მივიღებ, როგორიც მიიღეს ჟუუუურნალისტობის მსურველმა გოგოშკებმა, რომლებიც განწმატებულნი წიოდნენ — ხართ თუ არა ბიძინა ივანიშვილის პროექტიო.

არც ტელეჟურნალისტებთან შეხვედრა იყო საზოგადოების გულისყურის დამაკმაყოფილებელი (აქამდე თუ გულისწყვეტით ვამბობდი — „ბეჭდური მედია მეზობლის ობოლი ბავშვის მდგომარეობაშია-მეთქი“, დამერწმუნეთ დღეს კმაყოფილიც ვარ).

სამაგიეროდ, კიდევ უფრო გამძაფრდა შეკითხვები მმართველი პარტიის და, კერძოდ მისი ლიდერშიპის მისამართით, რომლებმაც თავიანთი არცთუ ისე ფასეული განცხადებებით ბევრი ვერაფერი გვითხრეს და მხოლოდ ის გვაჩვენეს, რომ „ოცნებას“ გახარიასი უფრო ეშინია, ვიდრე მთელი ოპოზიციური სპექტრისა და მას უფრო ებრძვის, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც „ოცნების“ ლიდერმა, მიუხედავად თავისი ადრინდელი მკაცრი შეფასებებისა, მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოგვიდგინა.

იყო საოცარი შეფასება, რომ თურმე ყოფილი პრემიერის მიერ პროკურატურაში შეტანილი სარჩელი თავისი მისამართით სახელმწიფო ღალატის ბრალდების გახმიანების გამო, ყოფილა შეუსაბამო ქმედება, რადგანაც გამოთქმული ბრალდება **მხოლოდ „პოლიტიკური განცხადება ყოფილა“ (?).**

არადა, ჩემი აზრით „ოცნების“ მხრიდან მსგავსი აქტივობა სრულიად უადგილოა, რადგანაც, რეალობიდან გამომდინარე, — პოლიტიკურ ველზე გახარიას პარტიის ძალიან სუსტი და უჩინო გუნდი, რომელიც მხოლოდ ე.წ. „მენეჯერებით“ არის დაკომპლექტებული, ისე ჩაიკარგება იმ რუტინაში, სადაც დღეს ბოლომდე ჩაფლულნი არიან სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, რომ გახარია სხვა „ლიდერებისგან“, (მაგალითად, დავით ჭიჭინაძისგან) განსხვავებით, სატელევიზიო დებატების ფორმატის გადაცემებში მიმსვლელი არ არის (როგორ წარმოგიდგენიათ ტრაპაიძესთან გახარიას და იაგო ხვიჩიას დებატები?!.).

ის კომფორტი კი, რასაც ნაცტელევიზიები ე.წ. ოპოლიდერებს უქმნიან (გადაცემაში უოპონენტოდ ჯდომა), გახარიას ნამდვილად არ ელოდება.

ამ ფონზე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო გახარიას შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელ ფილიპ რიკერთან და კელი დეგნანთან, რამაც ქართული ოპოზიციური პარტიის პოლიტიკური ცხოვრების ახალ, უფრო ცივილიზებულ ეტაპზე გადასვლა გვამცნო.

მოკლედ რომ ვთქვა გახარია პირველ რიგში ე.წ. არსებულ ოპოზიციას უქმნის საფრთხეს და, ცხადია „ოცნების“ ყოფილ მხარდამჭერთა გარკვეულ ნაწილსაც თავისკენ წაიყვანს.

იმ ნაწილს, რომელსაც აღარ ეშინია **„კიეველი ბუასი“,** ბოლომდე ამოუვიდათ ყელში ის კოჰაბიტაცია, რომელიც მოძალადეებს მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსს ანიჭებს.

ცხადია, ამ შემთხვევაში პარლამენტში შესულ ოპოზიციას და „ოცნებას“ საერთო მოწინააღმდეგე ჰყავთ, რადგანაც ვადამდელი არჩევნები ნამდვილად არ აწყობთ.

არ აწყობთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ გახარიას „წყალობით“ ვადამდელი დაინიშნა, „ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაეცემა და 2022-ს შემოდგომაზე უმრავლესობას ვეღარ მიიღებს, ერთკაციანი ჭიაჭუა პარტიები ფაქტობრივად გაქრებიან, ხოლო ნაცმოძრაობა, ვისი ერთგული მხარდამჭერები მხოლოდ სიმღერის — „რა დროშა მოგვცა მიშამა“-ს მომღერლები არიან, რომლებიც სტალინი და ჩერჩილი რომ გაცოცხლდნენ და ერთად შექმნან პარტია, ხმას მაინც უკრაინელ მაწანწალას მისცემენ, მაინც წარმოუდგენელ უმცირესობაში დარჩებიან.

ასევე საკმაოდ დიდ ეჭვს გადებს ახალი დათქმა, რაც ვადამდელი არჩევნებისთვის აუცილებელ, საკრალურ 43%-იან ზღვარს ეხება.

გაჩნდა მოსაზრება: რადგან ნაცმოძრაობა არ ასრულებს შეთანხმებას და შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერს, არც „ქართული ოცნებაა“ ვალდებული შეასრულოს შეთანხმების ის პუნქტი, სადაც 43%-იანი ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს. სამწუხაროდ, ნაცების ამ სიჯიუტეში და უკვე გავრცელებული ამ მოსაზრების თანხვედრაში ისევ ის წყეული კოჰაბიტაცია ჩანს.

ასე რომ, დაველოდოთ **„პლანეტების ახალ აღლუმს“.**



გია გაბრიჭიძე

გახარიას დაჭერა ნათელაშვილის თავის ტკივილად იქცევა

როგორც იქნა, თვეების შემდეგ ჩვენი პარლამენტი თავის თავს დაემსგავსა. კვლავ ძველი, შეჩვეული, საყვარელი პარლამენტი გვაქვს, რომლის ტელეფრაგმენტების ხილვისას, მაყურებელს ავიწყდება ყოველდღიური საზრუნავი, ათასი საფიქრალ-სადარდებელი, გატაცებით შესცქერის ეკრანს და გულიანად ხარხარებს. რომელი იუმორინა მოვა მასთან!

ერთი სიტყვით, ნაცმოძრაობა პარლამენტში შევიდა და პარლამენტის სხდომათა დარბაზი ბრძოლის ველს დაემსგავსა. სულ ერთი დღე დასჭირდა, რათა ეს მომხდარიყო. არის ძველებური ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა, ერთმანეთისთვის ათასი ცოდვის დაბრალება.

იმ დღეს მძიმეწონოსანი გუბაზ სანიკიძეც ჩაერთო „შე ჩათლახოს“ ტიპის სალაღობო დიალოგში, არადა გუბაზი 5 მოწვევის პარლამენტის დეპუტატია (პირველად ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდა-საქართველოს“ წევრი იყო, ბლოკ „საქართველოს აღორძინებაშიც“ ცდიდა ძალებს, ძალებს ცდიდა გაერთიანება „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრად, ამჟამად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშიას“ ყველაზე მძიმეწონოსანი წევრია), ამდენად მეტი სიდინჯე და სიდარბაისლე მართებს, რაც ამ კაცს პირწმინდად დავიწყებია. ხატია დეკანოიძე, ლევან ხაბეიშვილი თუ თინა ბოკუჩავა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე სტაჟიან წამომძახებელ-წამკიდებლებად იქცნენ. იმითაც ძალიან ვისიამოვნეთ,ალეკო ელისაშვილმა და ყოვლად გამოუცნობმა კაცმა, ლეიბორისტმა გიორგი გუგავამ რომ დაჭამეს ერთმანეთი.

ისე, მუდმივი აგრესიული ხმაურით დაყრუებულ პარლამენტში, რამდენიმე დღე შეიძლება შედარებით სიწყნარე ჩამოვარდეს: ნიკა მელია, თინა ბოკუჩავა და ნონა მამულაშვილი ამერიკაში გაემგზავრნენ 10-დღიანი ვიზიტით, საქმიანი შეხვედრების გასამართავად. როგორც ნიკამ განაცხადა, შეხვედრები ექნებათ კონგრესში, სენატში და სახელმწიფო დეპარტამენტში, ამას გარდა-იმ ადამიანებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მელია დარწმუნებულია, რომ „ვიზიტი უკვალოდ არ ჩაივლის და ეს კვალი უახლოეს მომავალში დაეტყობა ჩვენი ქვეყნის უკეთეს განვითარებას“.

მახსენდება: როცა იმ დღეს ინტერვიუს დასრულების შემდეგ ინგა გრიგოლიამ მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, ნიკამ სტუდიიდან გასვლისას თავისთვის ჩაილაპარაკა“ (რაც მახვილმა ყურმა დაიჭირა), ვნახოთ, შეიძლება აღარც დავბრუნდე უკანო.

ვაშინერს! ეს სუპერ სკანდალიღა გვაკლია. ჯერ ისიც არ ვიცით, რა „ტრიუმფული“ შედეგებით დაბრუნდება ეს წარმომადგენლობითი დელეგაცია ამერიკიდან, რა ინფორმაციებით ააშუშხუნებს აშშ-ის ატმოსფეროს. მორგებულად თქვა ენამახვილობითა და ზუსტი განსაზღვრებებით ცნობილმა თეა წულუკიანმა, ნიკა მელია, რომელიც დაპატიმრებამდე შეიძლებოდა პერსპექტიულ პოლიტიკოსად ჩაგვეთვალა, დღეს დასრულებულია, წარსულს ეკუთვნისო.

პარლამენტს ახალი თავსატეხი აქვს: ვინ უნდა მიიღოს დაფინანსება? გირჩი წინააღმდეგია, რომ პოლიტიკური პარტიები ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ. ალექსანდრე რაქვიაშვილმა ამ საკითხზე პარლამენტის ტრიბუნიდანაც განაცხადა — ხომ არ დავიწყოთ მსჯელობა, თუ როგორ გავაუქმოთ დაფინანსებაო. უმრავლესობის კანონპროექტით ვერაფერს მიიღებენ ის პარტიები, რომელთა არჩეული დეპუტატების ნახევარზე მეტი უარს იტყვის საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელებაზე.

ამ კანონის მიღება უმრავლესმა პარტიამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა და უარი თქვა არჩევნების გაყალბების მოტივით საპარლამენტო საქმიანობის დაწყებაზე. ოპოზიცია კანონპროექტს ხელისუფლების მხრიდან დასჯად აღიქვამს, ხელისუფლება ამბობს, სამართლიანიაო, გირჩი კი დაფინანსების სრულ გაუქმებაზე ლაპარაკობს.

თუ ნაცმოძრაობა ხელს არ მოაწერს ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ჩართულობით მიღწეულ შეთანხმებას, ხელმომწერი ოპოზიციური პარტიები გადაწყვეტენ, ჩაერთოს თუ არა ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია თანამდებობების გადანაწილებაში. თუმცა, ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რომელი კომიტეტების თავმჯდომარეების თანამდებობებს დაუთმობენ ოპოზიციას. ჯერ იმას ელოდებიან, მოაწერს თუ არა იგი ხელს შეთანხმებას. და აქ მოულოდნელობა: ორთოდოქსი ნაცი თინა ბოკუჩავა ხელმოწერის მომხრეა, თუმცა, ის პარტიაში უმცირესობაშია.

ენამწარე თინა უძახე შენ!

რაც შეეხება გიორგი გახარიას „ღალატს“. აქ, როგორც იტყვიან, აზრთა სხვადასხვაობაა. ეკა ბესელია გულშემატკივრობს შერისხულ ექსპრემიერ-მინისტრს. ასეთივე განწყობა აქვს გედევან ფოფხაძეს.

ექსპერტი გია ხუხაშვილი არ გამორიცხავს, რომ გახარიაზე შეიძლება საქმე აღიძრას. ჰოდა, შალვა ნათელაშვილი ამ შესაძლებლობასაც სათავისოდ იყენებს, გახარიას დაიჭერენ და ჩემი დასაცავი და თავის ტკივილი გახდებაო. და იქვე გულმოკლული ეკრანიდან უტევს თავის ამომრჩევლებს: შეიძლება შალვა ნათელაშვილი კენჭს იყრიდეს და თქვენ ეშმაკებისკენ გარბოდეთო?!

კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური აცხადებს, თუ გახარია არც ბიძინაა და არც მიშა, ეს კოალიციის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და სავარაუდოდ მას კონსერვატორებისა და „ქართული ოცნების“ ძველი გვარდიის მხარდაჭერა ექნებაო...

ირაკლი კობახიძე კი მტკიცედ აცხადებს, გვაქვს ეჭვი, რომ მელიასთვის წასული გახარია, მელიასთვისვე დაბრუნდაო.

გიორგი გახარია „ღალატს“ ჯიუტად უარყოფს და ჯერ-ჯერობით მხოლოდ თავისი პარტიის საქმეებზე ჩალიჩობს.

პარლამენტი კი ხმაურობს, იქ ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

გაუმარჯოს ჩვენს პარლამენტს!

სანდრო ალექსიძე

მელიას „მდედრიონი“ მიუჩინეს

ძაღლი შინ არ ვარგოდაო...

მაშინ, როცა პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ამერიკის უკვე არც ისე ახალი ადმინისტრაციის მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ამალის თანხლებით პირველ ევროპულ ტურნეში ზედიზედ მონაწილეობს თანამედროვე მსოფლიოს მომავლის განმსაზღვრელ ერთმანეთზე მნიშვნელოვან დიდი შვიდეულის შეხვედრაში, ნატოს სამიტსა და რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინთან დიალოგში, პატიმრობიდან დასავლეთის ზეწოლით განთავისუფლებული (როგორც თვითონ და მის ამფსონებს მიაჩნიათ) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლამის ქართველ ნელსონ მანდელად შერაცხული თავმჯდომარე ნიკანორ მელია ოკეანის გაღმა „ოფიციალური“ 10-დღიანი ვიზიტით გაემგზავრა.

დიახ, ტელეკანალიზაცია „მთავარმა არხმა“ სწორედ ასე გვაუწყა — ოფიციალურიო, თითქოს საკუთარი, მიხრწნილების სტადიაში მოკრუსუნე პარტიის გაუკრაინელებული ფაქტობრივი პაპაშის (უკაცრავად — მამაშის) შნირი რაიმე სახელმწიფოებრივ თანამდებობას იკავებდეს და ეკრანებსა თუ საზოგადოებაში მისი თითოეული გამოჩენისას არ იბადებოდეს კითხვა: ეს ვიღას ტიკიტომარააო?

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე წარსულის აჩრდილლანდებთან მოლიცლიცე ერთ დროს პერსპექტიული ეს პოლიტიკოსი რომ უპრინციპობის განსახიერება გახდა და შელახული ავტორიტეტის შესანარჩუნებლად „აპეკუნები“ დაუნიშნეს, კარგად გამოჩნდა როგორც პარლამენტში იძულებით შებრუნების პროცესში, სადაც ოპოზიციური უმცირესობის ოდიოზური თავქალი ხატია დეკანოიძე მეთვალყურეობს, ისე სტრატეგიულ პარტნიორებთან უკვე ხსენებული ვოიაჟისას — იქ ხომ „ენმ“-ის კვალიფიციურ დიპლომატთაგან ლიმონივით გამოწურული, ამჟამად დილეტანტთაგან დაკომპლექტებული დელეგაცია ისეთმა მგზნებარე ორატორებმა დაამშვენეს, როგორიც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხმამაღალი წიკვინით გამორჩეული თინათინ ბოკუჩავა და ახალი თაობის იდეურად მათთან თანხვედრაში მყოფი მდედრი დეპუტატი, ვინმე ნონა მამულაშვილი ბრძანდებიან.

მართლაც, ასე როგორ გაუჭირდა ყოფილ მმართველ გუნდს, სახელმწიფო დეპარამენტში,სენატსა და კონგრესში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოღვაწეობისას თეთრის შავად წარმოსაჩენად „სათადარიგო საბურავთა“ აღნიშნული ტრიო რომ გადაისროლა? თუმცა, ხომ გაგიგონიათ, ძაღლი შინ არ ვარგოდაო...

მიდი და ამის შემდეგ ნუ დაიჯერებ, რომ კადრები მართლაც წყვეტენ ყველაფერს, ოღონდ ისინი სწორად უნდა შეირჩნენ.

გია პლატონიშვილი

ქუთაისის ერთ-ერთ უძველეს საწარმო „იმერს“ ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა!

ქუთაისის ერთ-ერთ უძველეს საწარმოს „იმერს“, რომელიც 90 წლის არის, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით ახალი სიცოცხლე მიეცა. პროგრამაში მონაწილეობით მოხდა საწარმოს გადაიარაღება. დღეს „იმერი“ წარმოებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს ექსპორტზე გზავნის, უშუალოდ საწარმოში კი 400 ადამიანია დასაქმებული, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა, რომელიც ქუთაისში სამკერვალო საწარმო „იმერის“ საწარმოო პროცესს გაეცნო.

მინისტრს საწარმოს მფლობელმა, მაია სიმონიძემ მიაწოდა ინფორმაცია განვითარების გეგმებისა და ახალი საერთაშორისო პარტნიორების შესახებ.

„იმერში“ უკვე მზადდება პროდუქცია ისეთი ცნობილი ბრენდებისთვის, როგორიცაა გერმანული Lebek-ი და Joy Lucy-ი, აგრეთვე ბრიტანული Marks&Spencer-ი. სამკერვალო კომპანია „იმერი“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარია 2016 წლის დეკემბრიდან. საწარმო ორიენტირებულია პალტოების, ლაბადების და ტრიკოტაჟის ანალოგიური ნაწარმის დამზადებაზე. 2016 წელს საწარმო გაფართოვდა, რამაც კომპანიას მისცა საშუალება უფრო მეტი დასავლელი პარტნიორი ჰყოლოდა. ჯამურმა ინვესტიციამ 315,000 ევრო შეადგინა. ინვესტიციით საწარმოში 170 სამუშაო ადგილი შეიქმნა. მთლიანად საწარმოს პროდუქცია თითქმის მთლიანად ექსპორტზე გადის.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“ (№123-124, 7-8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ) ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ: „ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲝᲑᲐᲖᲔ!“

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲚᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲗᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲔ.

ᲛᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲗᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.



ᲐᲫᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝ�გᲘᲗ ᲗᲣ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ (ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ) ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲘ.

მიმაჩნია, რომ ბატონი დავითი საქმიანი და არგუმენტირებული თაოსნობის გამო მკაცრად და დაუმსახურებლად აკრიტიკებს (შეურაცხყოფასაც კი აყენებს) დიდი გამოცდილების მქონე მამუკა ხაზარაძეს, რომელმაც შიშველი ხელებითა და რისკის ფასად სრულიად ახალგაზრდამ, სხვათა დაუხმარებლად შექმნა წარმატებული, გიგანტი ბიზნესიმპერია. რაც მთავარია, შემოიკრიბა იმ ახალგაზრდა, განათლებული, კვალიფიციურ მენეჯერთა გუნდი, რომლებიც წარმატებით მართავენ საბანკო-საფინანსო და საწარმოო პროცესებს.

მე, რომელსაც თითქმის დაფუძნების დღიდან საქმიანი პარტნიორობა მაკავშირებს „თიბისი ჯგუფთან“, მათგან სიამოვნებით გამოვყოფ მაღალპროფესიონალ, პროგრესულ პიროვნებებს – **ბადრი ჯაფარიძეს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს, პაატა ღაძაძეს, გოგა თხელიძეს, ნიკოლოზ ქურდიანს.** სწორედ მათ შექმნეს წარმატებული ბიზნეს-კორპორაცია და დაასაქმეს 12 ათასამდე ადამიანი (ძირითადად ახალგაზრდობა) და ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროექტები განახორციელეს!

ეტყობა, ბატონ ზარდიაშვილს არ ესმის, რას ნიშნავს სიტყვა მეურნე. ამის დასტურია ის, რომ იგი მერს აკისრებს საბჭოთა „პოლიტხელის“ ფუნქციას. მისი სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენთ: მან (დედაქალაქის მერმა) თურმე მთელი ქალაქის მოსახლეობა უნდა დარაზმოს, აიყოლიოს და უკეთესი მომავლისკენ უნდა წაიყვანოს! ეს ყოფილა მერის უმთავრესი ფუნქცია, ანუ უპირველესად თურმე ის უნდა იყოს მოწინავე პოლიტიკური ლიდერი!

ბუნებრივად ჩნდება ლოგიკური კითხვა: რით განსხვავდება ასეთი მიდგომა კომუნისტური იდეოლოგიისგან, სადაც ყველაფერს პარტია წყვეტდა, რაზმავდა ხალხს და უძღვებოდა საუკეთესო მომავლისკენ, ნებრივია, ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს მმართველი პარტიის მხარდაჭერას. არადა, „ავიწყდება“, რომ მერი არჩევითი თანამდებობაა და იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ ამომრჩევლის წინაშე!

ამ ბოლო წლებში ბევრი მაგალითი გვაქვს თბილისელებს, როცა პარტიული ვალდებულებებით დატვირთული დედაქალაქის მერები პარტიის მითითებებს უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ (უგულავა, ნარმანია, კალაძე) და დედაქალაქის მეურნეობის მართვისთვის დრო არ რჩებოდათ. მათი ძირითადი საქმიანობა პრესკონფერენციებით, ლაივ-ჩართვებით, ინტერვიუებით და ოპოზიციასთან ბრძოლით შემოიფარგლებოდა და შემოიფარგლება დღესაც. სამწუხაროდ, სწორედ ამაზე იხარჯება მათი დროის მნიშვნელოვანი ბიუჯეტი.

რაც შეეხება მამუკა ხაზარაძის თაოსნობას დედაქალაქის კოალიციური მმართველობის თაობაზე, ვფიქრობ, არც ეს უნდა იყოს პრაქტიკულად მიუღებელი, რადგან არჩეულ მერს ყველა ბერკეტი აძვს იმისთვის, რომ ე.წ. „საბოტაჟნიკები“ დაუყოვნებლივ გადააყენოს თანამდებობიდან. ვფიქრობ, კოალიციურ მმართველობაში ბატონი მამუკა მერიის კადრებით დაკომპლექტებას პარტიების წარმომადგენლებით გულისხმობს აღმასრულებელი სტრუქტურები კი მხოლოდ პარტიულ დანამატს წარმოადგენდნენ?!

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲠᲗᲣᲚᲔᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ, ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲠᲝᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲪᲣᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲔᲪᲔᲛᲐ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ?

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ?

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲝᲗ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲜᲐᲭᲥᲐᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲛᲭᲕᲔᲕᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔᲡ: ᲛᲐᲡ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲗ. ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ!

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲚᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ (ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ) ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲛ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲓᲐᲣᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲛ�პᲔᲠᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲔᲛᲝᲘᲙᲠᲘᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ-ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ „ᲗᲘᲑᲘᲡᲘ Ჯ�გᲣᲤᲗᲐᲜ“, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤ ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ, ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ – **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲣᲪᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲦᲐᲫᲐᲫᲔᲡ, �გᲝ�გᲐ �თᲮᲔᲚᲘᲫᲔᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲡ.** ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲔᲡ 12 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ) ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲡ!

ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ Ი�გᲘ ᲛᲔᲠᲡ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ „�პᲝᲚᲘᲢᲮᲔᲚᲘᲡ“ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲤᲠᲐᲖᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲔᲜᲗ: ᲛᲐᲜ (ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ) �თᲣᲠᲛᲔ ᲗᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲝᲡ, ᲐᲘᲧᲝᲚᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ!

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲚᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ (ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ) ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲛ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲓᲐᲣᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲛ�პᲔᲠᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲔᲛᲝᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲘᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ-ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ „ᲗᲘᲑᲘᲡᲘ Ჯ�გᲣᲤᲗᲐᲜ“, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤ ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ, ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ – **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲣᲪᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲦᲐᲫᲐᲫᲔᲡ, �გᲝ�გᲐ �თᲮᲔᲚᲘᲫᲔᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲡ.** ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲔᲡ 12 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ) ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲡ!

ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ Ი�გᲘ ᲛᲔᲠᲡ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ „ᲞᲝᲚᲘᲢᲮᲔᲚᲘᲡ“ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲤᲠᲐᲖᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲔᲜᲗ: ᲛᲐᲜ (ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ) ᲗᲣᲠᲛᲔ ᲗᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲝᲡ, ᲐᲘᲧᲝᲚᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ!

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲚᲝ�გᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲚᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ (ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ) ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲛ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲓᲐᲣᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲛ�პᲔᲠᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲔᲛᲝᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲘᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ-ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ „ᲗᲘᲑᲘᲡᲘ Ჯ�გᲣᲤᲗᲐᲜ“, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤ ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ, ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ – **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲣᲪᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲦᲐᲫᲐᲫᲔᲡ, �გᲝ�გᲐ ᲗᲮᲔᲚᲘᲫᲔᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲡ.** ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲔᲡ 12 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ) ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ



ქვეყნის ძლიერი და სტაბილური განვითარება სასურსათო უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია. დღეს, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობამ 9 მილიარდს კარგა ხანია გადააჭარბა, სურსათის სხვადასხვა სახეობაზე მოთხოვნილება ერთიორად იზრდება. დედამიწის მოსახლეობა მხოლოდ მარცვლოვანი კულტურებით რომ დაკმაყოფილდეს, რომლის მიღებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია, დედამიწელთა მეხუთედი მაინც შიმშილის ზღვარზე იქნება.

როგორ დავამშიოთ თვითონ შიმშილი?!

შიმშილობა და სიღარიბე, ეს არ არის რომელიმე ქვეყნის, კონტინენტის ან თუნდაც რომელიმე რეგიონის პრობლემა, ეს გლობალური პრობლემა გახლავთ, შეიძლება თქმა, სენიც, რაც ყველას აწუხებს და ტანჯავს დედამიწის ნებისმიერ ადგილას. მოშიმშილეებისთვის მთავარი უპირატესობა სწორედ საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. მოშიმშილე ადამიანები, უმთავრესად განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ. განვითარებული ქვეყნების დღიური რაციონის კალორიულობა ბევრად სჭარბობს განვითარებადი ქვეყნებისას ერთად აღებულს. მსოფლიოში ამჟამად არასაკმარისად იკვებება 900 მილიონი ადამიანი, დღეში კი 22 ათასი შიმშილით კვდება, ყველაზე მეტი ადამიანი აზიაში შიმშილობს, შემდეგ მოდის ტროპიკული აფრიკა, ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი.

ეს ციფრები გასაოცარია იმ ფაქტის მოხმობით, რომ მსოფლიოში იმდენი საკვები არასოდეს წარმოებულა, რამდენიც დღესდღეობით. სოფლის მეურნეობა აწარმოებს 17 პროცენტით მეტ კალორიულ სურსათს, ვიდრე 30 წლის წინათ იყო. იმდენი მარცვლოვანი იწარმოება (ხორბალი, ბრინჯი, ფეტვი), რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია დღიურად 3 ათასი კილოკალორია მიიღოს. ზოგიერთი ქვეყანა, ევროპასა და ამერიკაში, იმდენს აწარმოებს, რომ იძულებულნი არიან, ფასები მკვეთრად დაწიონ, ან მოყვანილი პროდუქცია გაანადგურონ. აქედან გამომდინარე, პრობლემა არასაკმარისი საკვების წარმოება კი არა, არამედ მისი განაწილების ხარვეზები ყოფილა. ეს კი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მსოფლიოს რესურსებს ის ქვეყნები განკარგავენ, რომელთაც ძლიერი ეკონომიკა და ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალა აქვს.

რა იწვევს ასეთ უთანასწორო განაწილებას? ძირითადად კომერციალიზებული სოფლის მეურნეობა. განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ჭარბ პროდუქციას აწარმოებენ, პროდუქტზე ფასს აგდებენ, რასაც გაკოტრების ზღვარზე მიჰყავს განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ძვირად აწარმოებენ პროდუქციას. ისინი კონკურენციას ვერ უწევენ ძლიერ, თითზე ჩამოსათვლელ ქვეყნებს. იძულებულნი ხდებიან, აღარ აწარმოონ პროდუქტი და დარჩნენ განვითარებადი ქვეყნების დახმარების ხარჯზე. გამოდის, რომ განვითარებადი ქვეყნების ფერმერები ვეღარ ყიდიან თავიანთ მოსავალს, რის ალტერნატივაც უფასო დახმარებაა. ეს ხელს უშლის მათ გრძელვადიანი გათვლები გაკეთონ და ბიზნესი განავითარონ, უხადონ გადასახადი ბიუჯეტს და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში წვლილი შეიტანონ. ეს ქვეყნები იძულებით ხდებიან დამოკიდებულნი უფასო გარე დახმარებაზე. ადგილზე საკმარისი პროდუქცია არ იწარმოება, ქვეყანაში მძიმდება სოციალური ფონი და იზრდება შიმშილობის მასშტაბი. ყოველივე ეს განვითარებული ქვეყნებისთვის სარგებლიანობის მომტანია — ჭარბი პროდუქციის გასაღების კარგი საშუალება.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო შიმშილობის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური ზეწოლაა, რაც პოლიტიკური ზეწოლის საწინდარიცაა. ამისი თვალსაჩინო მაგალითი მრავლად გვაქვს. ჩვენი ქვეყნის მაგალითი 90-იანი წლების ფონზე, XIX საუკუნის ირლანდიის ცნობილი შიმშილობა. პოლიტიკური ნიშნით გამოწვეული საბჭოეთის 30-იანი წლების სიყმილი („გოლოდომორი“). ამ დროს უკრაინაში შიმშილით 2,5 მილიონი ადადმიანი დაიღუპა (არაოფიციალური მონაცემებით, 10 მილიონამდე), ერთი ამდენი იძულებული იყო, ქვეყანა დაეტოვებინა, გავრცელდა კანიბალიზმის შემთხვევები...

შიმშილობის გამოწვევის ერთ-ერთი ფაქტორია სტიქიური უბედურებები და მოუსავლიანი წლები. ამის ისტორიული მაგალითები მრავლად გვაქვს.

პურის ცხობა პირველად 5 ათასი წლის წინათ დაიწყეს ძველ ეგვიპტეში. ეგვიპტე, დედამდინარე ნილოსის წყალობით, მუდამ წარმოადგენდა ევროპის ქვეყნების, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის, პურის ბეღელს. ეგვიპტეში მოქმედებდა „კანოპის დეკრეტი“, რომელიც სახელმწიფოში პურპროდუქტებით მომარაგების საკითხს წყვეტდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ძველეგვიპტურ პაპირუსებზე აღწერილია ეგვიპტელთა ძირითადი პროფესიები, რომელთა შორის საპატიო ადგილი პურის მცხობელებს უკავიათ.

იხ. 9 გვ.

რატომ აქვს ზოგიერთ ადამიანს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრაზე ძლიერი გვერდითი ეფექტი და ზოგს კი – არა?

ნებისმიერი აცრა, მათ შორის კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაც, მზად არის მოატყუოს ჩვენი ორგანიზმი, თითქოს ის რეალურ ვირუსს ებრძვის. შესაბამისად, „მოტყუებული“ ორგანიზმი რთავს იმუნურ სისტემას და უბრძანებს მას, ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლა სასწრაფოდ დაიწყოს.

უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გაჩნდეს უსიამოვნო შეგრძნებები კონკრეტულად ინექციის ადგილზე. მაგალითად, ეს არის მცირე შეშუპება და არც ისე ძლიერი ტკივილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი იმუნური სისტემა მოქმედებას იწყებს. შემდგომი ეფექტები შეიძლება უკვე სხეულის სხვა ნაწილებზეც გავრცელდეს და გამოიწვიოს გრიპის მსგავსი სიმპტომები, მათ შორის — სიცხე, ციება და გულისრევა. ედინბურგის უნივერსიტეტის იმუნოლოგიის პროფესორი ელეონორ რაილი BBC-სთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ყველა ეს შეგრძნება ანთებით პროცესზე რეაქციით არის განპირობებული.

მეცნიერის განმარტებით, აცრა არის ერთგვარი ბიოქიმიური სახანძრო განგაში, რომელიც გვამცნობს, რომ ორგანიზმში რაღაც რიგზე ვერ არის. **„ვაქცინა მობილიზებას უკეთებს იმუნურ სისტემას, რომელიც გზავნის თავის უჯრედებს უშუალოდ ინექციის ადგილზე, რათა მათ გაარკვიონ, რა ხდება იქ“,** — განმარტავს პროფესორი რაილი.

— რატომ უვლინდება ზოგიერთ ადამიანს ძლიერი გვერდითი ეფექტი, სხვას კი — საერთოდ არანაირი?

— მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმზე აცრის ზემოქმედების მექანიზმი ყოველთვის ერთნაირია, გვერდითი მოვლენების სიმძაფრე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ფთეკფჭუტუსფ-ს ვაქცინის კლინიკური კვლევების ჯგუფის ხელმძღვანელის, პროფესორ ენდრიუ პოლარდის განმარტებით, ვიღაც საერთოდ ვერაფერს იგრძნობს, სხვას შეიძლება ძილიანობა მოემატოს, ზოგიერთს კი, შესაძლოა, 2-3 დღის საწოლში გატარება მოუწიოს. მისივე თქმით, აცრის შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ასაკი. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ადვილად იტანს აცრას.

დავუშვათ, რომ ასეა. მაშ, რატომ განსხვავდება გვერდითი მოვლენები ერთი და იმავე ასაკის ადამიანებშიც? პროფესორ რაილი თვლის, რომ გვერდითი მოვლენების ფართო სპექტრის საფუძველი არის ჩვენი იმუნური სისტემის უდიდესი გენეტიკური მრავალფეროვნება. ძეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცის იმუნური სისტემა მიდრეკილია, გამღიზიანებელ ნაწილაკებზე ძალიან აგრესიული რეაქცია ჰქონდეს. ადამიანები, რომელთაც აცრის შემდეგ რეალური გრიპის მსგავსი სიმპტომები გამოუვლინდათ, იღბლიანები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ორგანიზმი ძალიან სწრაფი და ძლიერი რეაქციისკენ არის მიდრეკილი“, — განმარტავს მეცნიერი.

— ნიშნავს თუ არა აცრით გამოწვეული ძლიერი გვერდითი მოვლენა, რომ დაცვაც უფრო ძლიერია?

— წარსულში მსგავსი პრეცედენტები ნამდვილად არსებობდა. როგორც პროფესორი პოლარდი აცხადებს, 2009 წელს გრიპის ეპიდემიის დროს, ძლიერი გვერდითი მოვლენები უფრო ძლიერ იმუნურ რეაქციას გულისხმობდა. თუმცა ეს **სწმშვ**-19-ის ვაქცინის შემთხვევაში არ მუშაობს. აქვს ადამიანს გვერდითი მოვლენები თუ არა, ყველას დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის ანტისხეულები ექნება. ხანდაზმული ადამიანები, რომელთა აცრაც, ფაქტობრივად, ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე მიმდინარეობს, იღებენ ზუსტად ისეთივე დაცვას, როგორც ის პირები, ვინც ვაქცინაციის შემდეგი რამდენიმე დღე საწოლში გაატარეს.

ამ ფენომენის ახსნა იმუნური სისტემის ორი ნაწილის ურთიერთქმედების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. პირველ რიგში, ეს არის ეგრეთ წოდებული თანდაყოლილი იმუნიტეტი, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმს აქვს უნარი, გაანეიტრალოს ის დაუპატიჟებელი სტუმრებიც კი, რომლებიც მას აქამდე არ შეხვედრია. მეორე მხრივ, ეს არის შეძენილი იმუნიტეტი, რომლის საშუალებითაც ჩვენი სხეული ჯერ სწავლობს, თუ როგორ გაუმკლავდეს კონკრეტულ საფრთხეს და შემდეგ ამ ყველაფერს იმახსოვრებს.

პროფესორი რაილი განმარტავს, რომ ზემოთ ხსენებული განსხვავების განმაპირობებელი არის სწორედ თანდაყოლილი იმუნიტეტი, რომელიც ასაკის მიხედვით იცვლება და ამავდროულად, ყველა ადამიანს გენეტიკური დაცვის სისტემა აქვს. სწორედ ეს განსაზღვრავს გვერდითი მოვლენების სიძლიერეს.

— თუ პირველ დოზაზე მძაფრი რეაქცია მქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორეზეც იგივე გვერდითი მოვლენები მექნება?

— საკმაოდ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუ აცრის პირველი დოზის გამოცდილება არც თუ ისე სასიამოვნო იყო, მეორე დოზა მის გაგრძელებას ნიშნავს. თუმცა მეცნიერები ასე სულაც არ ფიქრობენ. „მეორე დოზა იქნება სრულიად უვნებელი. ის სულაც არ არის ისეთი ძლიერი, როგორც პირველი“, — აცხადებს პროფესორი პოლარდი. თუმცა ამ დროს ის ოქსფორდში შემუშავებულ ფთეკფჭუტუსფ-ს გულისხმობს. მეცნიერი გვახსენებს, რომ ზოგიერთი მონაცემით, ზაშჭუკ-ის ვაქცინის მეორე დოზამ შეიძლება ოდნავ უფრო მკვეთრი გვერდითი ეფექტი გამოიწვიოს, ვიდრე — პირველმა.

— საერთოდ, რამდენად საჭიროა და მიზანშეწონილი აცრის გვერდითი ეფექტების განხილვა?

— საქართველოში **სწმშვ**-19-ის საწინააღმდეგო აცრის შემდეგ, ექიმი პაციენტს სთხოვს, დაახლოებით 45 წუთი კლინიკის ტერიტორია არ დატოვოს. იგივე პრაქტიკაა ევროპაში, თუმცა იქ დრო განსხვავებულია — მხოლოდ 15 წუთი. ამავდროულად, საქართველოში აცრის შემდეგ პირს ეძლევა ამის დამადასტურებელი ფურცელი, რომლის უკანა გვერდზე ყველა შესაძლო გვერდითი მოვლენაა აღწერილი.

ისევ დასავლეთს რომ დავუბრუნდეთ, ევროპის წამლის სააგენტომ უკვე დაადასტურა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ აცრა თრომბის ჩამოყალიბებას იწვევს. თუმცა არსებობს სხვა გვერდითი მოვლენები და ისინი სავსებით რეალურია. იმავე პოლარდის თქმით, მათზე ღიად და პირდაპირ უნდა ვისაუბროთ. **„თუ თავიდანვე გეტყვიან, რომ დიახ, თქვენ შეიძლება ცუდად იგრძნოთ თავი, მაგრამ ეს საშიში არ არის, უბრალოდ, უსიამოვნო პროცესია, მიიღებთ პარაცეტამოლს და რამდენიმე დღეს გაუძლებთ. თუმცა თუ ასეთი შეგრძნებები მოულოდნელად დაგემართებათ, შფოთვა ნამდვილად გარანტირებული გავქვთ“,** — განმარტავს პროფესორი პოლარდი.

№ 129-130. ორშაბათი-სამშაბათი, 14-15 ივნისი, 2021 წელი.



ახდენილი ოცნება

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში 93 წლისა აღესრულა გამოჩენილი ჟურნალისტი, მსოფლიო ჟურნალისტიკის ლეგენდად აღიარებული მელორ სტურუა. 2018 წელს, როდესაც მას დაბადების 90 წელი შეუსრულდა, მაჩაბელზე — მწერალთა სასახლეში შესანიშნავმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და პატივი მიაგო ღირსეულ თანამემამულეს. თავად იუბილარი შეხვედრას ვერ ესწრებოდა, მაგრამ გამოგზავნა ვიდეომიმართვა, რომელშიც მან გამოხატა უსაზღვრო სიყვარული საქართველოს მიმართ, სადაც იგი დაიბადა და ჭაბუკობის წლები გაატარა.

ძალზე ამაღელვებელი იყო მისი ემოციებით აღსავსე სიტყვები, რომლითაც დიდმა პუბლიცისტმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა, როორც თავად ბრძანა, ახდენილი ოცნების გამო...

ეს ახდენილი ოცნება იყო სწორედ იმ დღეებში მისი ნათესავების — **მარინა ჯანელიძის, თეიმურაზ** და **ნინო ბერიშვილების** მიერ წრფელი სიყვარულით, გულითადობით, დიდი მონდომებით მომზადებული და გამოცემული მელორ სტურუას ქართული ლექსების პირველი და ერთადერთი კრებული „ქართული გული“.

იმ საღამოს ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მელორ სტურუას შესახებ.

* * *

როცა მელორ სტურუაზე ვფიქრობთ, არ შეიძლება, რომ ნიკო ნიკოლაძე არ წამოგვაგონდეს. ნიკო ნიკოლაძემ თავისი გვარ-სახელითა და ნიჭიერებით XIX-XX საუკუნეებში გააცნო საქართველო ევროპას, ხოლო მელორ სტურუამ — XX-XXI საუკუნეებში...

მით უმეტეს, რომ ევროპას ამერიკაც მიამატა, სადაც ცხოვრების ბოლო წლები გაატარა მარტოობაში, ოღონდ სიცოცხლის მთელი 93 წლის სიგრძეზე საგულეში განუწყვეტლივ ქართული გული უცემდა და, მართალია, რუსულად და ინგლისურად წერდა, მაგრამ გულისფიცარზე ქართულად ჰქონდა მიბეჭდილი **ენა, მამული, სარწმუნოება,** რასაც ნათლად ცხადყოფს მელორის ქართულ ენაზე დაწერილი ლექსების კრებული. სწორედ ამ კრებულიდან გთავაზობთ ერთ-ერთ ლექსს, როგორც მელორ სტურუას ავტოპორტრეტს.

ვალერი ასათიანი

საქართველო

ოჰ, საქართველოვ!

(ილია ჭავჭავაძე)

ისევ ჩემი თბილისი, მათრობს მისი მიწა მე,
აქ პირველად პოეტის აღტაცება ვიწამე,
აქ პირველად ტრფიალის გაშმაგება ვიცანი,
მისი შავი ნაწნავი ხელზე გადავიწანი.
აქ პირველად ვუმზერდი დაქანებულ ლერწამებს,
მხოლოდ მათთვის მინდოდა ჩანგი გადამეცა მე.
კიდევ ბევრჯერ მნათობი გზას სივრცეში გაივლის,
კიდევ ბევრჯერ მოიტანს თბილ აგვისტოს და ივლისს.
კიდევ ბევრჯერ დამატკბობს შავთვალას დაგიშრება,
ცრემლით დაწერ სტრიქონებს, მელანი გაგიშრება,
კვლავ დამათრობს სურნელით საქართველოს მიწა მე,
სადაც ფეხი ავიდგი, ვაჟკაცობა ვიწამე.
თურმე ძველი ლერწამი კალმად გადამეტეხა,
ავზიდულვარ თბილისზე მთაწმინდად და მეტეხად...

ერთი ღირსეულთაგანი

ადრეული სიყმაწვილის წლებში გავიცანით ერთმანეთი. მაშინაც ის ზალიკო იყო, ის ზაალ ბოტკოველი, რაც დღეს არის-მეგობრული, ზრდილი, მისანდო და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, — საქმიანი. მასზე უბრალოდ „საქმიანსაც“ ვერასდროს იტყვი. ხომ არსებობს ცნობილი ფრანგული ფილმი „ადამიანი ორკესტრი“, ზალიკო კი ჩვენთვის, და პირადად ჩემთვისაც, არის „ადამიანი საქართველოს მწერალთა კავშირი“,მისი ნამდვილი და ერთგული მემატიანე, მის აწმყოსა და წარსულში ყველაზე ღრმად ჩახედული და გათვითცნობიერებული. „ზალიკოს კითხეთ“, „ზალიკო გეტყვით“, „ზალიკოს ეცოდინება“ — ასე მესმოდა გამუდმებით სხვადასხვა დროს, მთელი ამ წლების მანძილზე, ჩვენი მწერალთა კავშირის ნებისმიერი თანამშრომლისა, თუ ხელმძღვანელი პირისგან. და მართლაც, ზაალ ბოტკოველმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერზე ჰქონდა კომპეტენტური და ამომწურავი პასუხი, არაფერს დაიზარებდა, გირჩევდა, დაგაკვალიანებდა, გაგყვებოდა კიდეც, სადაც საჭირო იყო და რომ იტყვიან, „ზედაც გადმოგყვებოდა“ ყოვლად უანგაროდ და დაუყვედრებლად.

ასე იყო, ასე არის და მჯერა, კიდევ დიდხანს იქნება ასე. მიხარია, რომ ასე იქნება, რადგან რასაც მისი ხელი და გამჭრიახი გონება შეეხება, უსათუოდ გაკეთდება, თანაც, გაკეთდება უზადოდ, გულით და უსაყვედუროდ. ამგვარი პასუხისმგებლობა, ასეთი დამოკიდებულება და პატივისცემა ქართული მწერლობის ნებისმიერი თაობის ნებისმიერი წევრისადმი, ასეთი თანადგომა მოყვასისა ჭირსა და ლხინში და ამგვარი თანალმობა, მხოლოდ ღირსეულთ სჩვევიათ და ზაალ ბოტკოველი სწორედაც ერთი მათგანია.

ქართველ მწერალთა ყოველი თაობა კარგად გრძნობდა და აფასებდა ამას, ყველასთვის მისანდო და შინაური გახლდათ და დღესაც ასეა. მდიდრულ აპარტამენტებს ან მაღალ შემოსავალს არ შერჩენია ზაალ ბოტკოველი ათეული წლებით საქართველოს მწერალთა კავშირში, სიყვარულს შერჩა და სიყვარულით შერჩა. ეს ყველას კარგად მოეხსენება. დღემდე მისი თანამდებობრივი სტატუსი არც კი ვიცოდი, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ყოფილა. არ ვიცოდი, რადგან ნებისმიერი მწერალი და, მეც მათ შორის, რაც არ უნდა დაგვჭირვებოდა, ზალიკოს ვაკითხავდით, რადგან ბოლოს ყველა მაინც მასთან გაგვგზავნიდა — „ზალიკომ იცის... ზალიკოს ჰკითხეთო“ და ისიც, ქვეყნის გადაბრუნებაც რომ დასჭირვებოდა, გულნაკლულსა და უნუგეშოს არავის გამოგვიშვებდა. დღესაც იმნაირივე ზალიკოა, მასში არაფერი შეცვლილა, თუმცა თვით მწერალთა კავშირიცა და მისი ფუნქციებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. მისი ნიჭის, უნარისა და პასუხისმგებლობის ადამიანს არ გაუჭირდებოდა უკეთესი სამუშაო კაბინეტისა და გაცილებით მაღალხელფასიანი ადგილის მოძიება,მაგრამ მთელი ეს ათეული წლები ზაალ ბოტკოველი ქართული მწერლობის თავდადებულ მსახურად და თავისი მრწამსისა და სიყვარულის ერთგულად დარჩა.

დახმარების, ჭირსა და ლხინში თანაზიარობის ჟამს მისთვის განსხვავებული თაობები, რანგები და რეგალიები არ არსებობს, ერთნაირად გულწრფელი თანამგრძნობი და გამზიარებელია ყველას ჭირისა, თუ ლხინის, ყურადღებიანი და გულისხმიერი, რომ არ იგულმავიწყებს არაფერს და გვერდზე არ გაგიდგება. ნებისმიერი საქმიანი ქაღალდი, რაც საქართველოს მწერალთა კავშირში შიდა მოხმარებისა თუ გარე ორგანიზაციებთან საურთიერთოდ იყო საჭირო, სიხარულის, მწუხარების, მილოცვა-დაჯილდოებების ყველა ტექსტი, მისი ნაკალმარია, მისი სითბოსა და გულითადობის კვალი ატყვია. მისი ლიტერატურული წერილების კრებულიც ამგვარივე მადლითა და განწყობით, მშვენიერი ლიტერატურული გემოვნებითა და ოსტატის ხელით არის შექმნილი. რამდენი კარგად დავიწყებული სახელი გაახსენა მკითხველს, რამდენს გადაეცალა დროის ბინდი და ღექი, რამდენ თანამედროვეს მოეფერა და ღირსეულად წარმოაჩინა, თუმცა არც პრინციპულობა და პირუთვნელობაა მისთვის უცხო.

თუმცა იგი აქაც ზომიერია, თავის მოსაზრებას მტკიცე პოზიციებიდან იცავს და არც ლიტერატურული პოლემიკის საზღვრებს სცილდება. ახლახანს ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული შეადგინა და გამოსცა ავტორთა თითო ლექსით, უძველესი დროიდან დღემდე. აქაც ბევრი მივიწყებული და დროის მტვერწაყრილი პოეტი გახადა მკითხველისთვის საჩინო. ვფიქრობ, პოეზიის ბევრ მოყვარულს დაინტერესებს ამგვარი კრებული, არაერთი გარდასული ავტორი დაიბრუნებს ოდინდელ სახელსა და ბრწყინვალებას. ზალიკო, ჩემო ძვირფასო ძმაო და მეგობარო, მეც ბევრჯერ გამომიცდია შენი თანადგომა. შენს გამუდმებულ ყურადღებას გავუხარებივარ და ახლა საჯაროდ გეუბნები მადლობას ამდენი წლების მეგობრობისა და გულისხმიერების, სითბოსა და მომფერებლობისთვის. შენ ყველასთვის ასეთი ხარ, ასეთი იყავი და ასეთივე დარჩები მომავალშიც. გილოცავ ძალზე მნიშვნელოვან თარიღს, თუმცა წლებს მაინც არ გავამხელ! არ გავამხელ იმიტომ თუნდაც, რომ გარეგნულად ხომ ისეთივე ზალიკო დარჩი, მაგრამ ამ მძიმე წლებში კიდევ უფრო ფასეული — სულის სიწრფელე და კეთილშობილება, სიყვარული და უშურველობა შეინარჩუნე და ესაა სწორედ უმთავრესი. ჩვენ ერთმანეთის პატივისცემა არ გვესწავლება, ერთ დროში, ერთ არეალში ვიცხოვრეთ და ვიღვაწეთ და იცი, რომ დასავით გეხვევი, გეფერები, გლოცავ და გილოცავ! შენს გავლილ გზაზე ეკალ-ბარდსა და ღვარძლს არ უხარია, კეთილშობილება, სხვისი სიხარულით გახარებისა და სიყვარულის უნარი არასოდეს დაგიკარგავს და კაცური ყოფა და სიცოცხლე მეტი კი არაფერია. მიხარია, რომ ჩემი მეგობარი, ჩვენი მეგობარი, ქართული მწერლობისა და ჩვენი მამულის ერთი ღირსეული შვილთაგანი ხარ. ასწლეულის ათავება მომელოცოს, იხარე, იმრავლე და იძლიერე ამ მზისა და მთვარის ნათელში!

შენი
მანანა ჩიტიშვილი

სიტყვის ღვთითკურთხეული რაინდი

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი და ღმერთი იყო სიტყვა.

ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.

ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.“

ამ ბიბლიური შეგონებით იწყებს წერილს „ნათელი კაცთა“ ზაალ ბოტკოველი. ვინ ვინ და თავად ქართული სიტყვის უერთგულესმა გუშაგმა კარგად იცის სიტყვის ფასი და ძალმოსილება. სიტყვის, ანუ უფლის. თავადაც უფლის გზას დასდგომია, ანგელოზის თვალი ტრიალებს მის ყველა წერილსა თუ თარგმანში, ესსესა თუ რეცენზიაში.

ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე მის მიერ დაწერილი რეცენზიები მარტო თავანკარა ქართულით ან აზროვნების სიღრმით როდი ხიბლავს მკითხველს. თითოეული წერილი დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია ქვეყნის სვე-ბედზე მაფიქრალი კაცისა, რომელსაც ხელთ ჯადოსნური გასაღები უპყრია და რუდუნებით გიღებს მწერლის სულიერი საგანძურის ცხრაკლიტულს. კითხულობ და გიკვირს — განა აქამდე არ წაგიკითხავს ეს მშვენიერი ნაწარმოები? განა აქამდე არ იცოდი ეს ჭეშმარიტება? მაშ რა მადლი დაჰყვება ზაალ ბოტკოველის ამ სტრიქონებს, ასეთ განსაკუთრებულ ელფერს რომ მატებს მწერლის ნააზრევს, ასე რომ გიტაცებს და გიწვევს ხელოვანის შემოქმედების ურთულეს გზაწვრილებზე სახეტიალოდ.

ქართული სიტყვისადმი ერთგულებასა და მრწამსს ასე გამოხატავს ზაალ ბოტკოველი: — დიახ, ქართულ ენას, ჩვენს მშობელსა და ქომაგს გადარჩენა სჭირდება, მოვლა-პატრონობა სჭირდება და სწორედ პოეტები, ქართველი პოეტები არიან ის ღვთითკურთხეული რაინდები, რომლებიც გრაალის მცველთა დარად, ლამის უკანასკნელ ბასტიონად ქცეულა ეშმას და სატანას მოციქულთა შემოტევების მოსაგერიებლად.

თავად „სიტყვის ღვთითკურთხეული რაინდი“ უკვე ათეულობით წელია ამ სადარაჯოზე დგას. მისი სიტყვა მართალთათვის სულის სალბუნია, ქვეყნის ორგულთათვის და უნიჭოთათვის ბასრი მახვილი.

რაც მწერალთა კავშირთან ურთიერთობა მახსოვს, მახსოვს ზაალ ბოტკოველიც — თავდადებული, ერთგული, ზნეკეთილი პიროვნება. სიმართლე რომ გითხრათ, მის გარეშე, მწერალთა ანუ გულთა კავშირი ვერც კი წარმომიდგენია. მადლობელი ვარ უფლის, მასთან ერთად რომ მომიწია ამ ორგანიზაციაში მოღვაწეობა. მიყვარს, პატივს ვცემ, მეიმედება.

მიყვარს მისი მადლიანი კალამი, მისი წერილები და თარგმანები. პატივს ვცემ მის გასაოცარ სამართლიანობას და სულგრძელობას. მეიმედება მისი ერთგულების.

მზეგრძელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ ზაალ ბოტკოველს და უფალს ვთხოვ, არასოდეს მოაკლოს მადლი და ძლიერება მის კალამს, დიდხანს, დიდხანს ამუშაკოს ქართული სიტყვის სადარაჯოზე. იბედნიეროს საღოცავ მამულთან, ლამაზ ოჯახთან და მწერალთა კავშირთან ერთად.

მაყვალა გონაშვილი

სანკარა – „შავი ჩე გევარა“

„მოუსყიდველთა მიწა“ და ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტი, რომელიც საუკეთესო მეგობარმა მოკლა...

ტომას ისიდორ ნოელ სანკარა ყველა იმ პრეზიდენტის, გენერლის და დიქტატორის ფონზე გამოირჩეოდა, რომლებიც სხვადასხვა დროს აფიკული ძვეყნების სათავეებში იყვნენ. ოდესღაც აფრიკის სახელმწიფო ბურკინა ფასო საფრანგეთის კოლონია გახლდათ და ზემო ვოლტად იწოდებოდა. 1950-იანი წლების ბოლოს პარიზმა ყოფილ კოლონიას ნომინალური დამოუკიდებლობა მიანიჭა, მაგრამ ძვეყნის ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის კონტროლი განაგრძო, რომელიც კვლავ ღარიბი და კორუმპირებული დარჩა.

ყველაფერი ახალგაზრდა პრეზიდენტის, ტომას სანკარას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა. ის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტი, რომელმაც ხალხის სიღარიბისგან განთავისუფლების მცდელობისთვის საკუთარი სიცოცხლე გაწირა.

ტომას სანკარა შერეულ ოჯახში დაიბადა – მამამისი მოსის ტომიდან იყო, ხოლო დედა ფულბეს ტომიდან. აფრიკული სტანდარტების მიხედვით, შერეულ ოჯახში დაბადებული ბავშვი „მესამე კლასს“ განეკუთვნებოდა, თუმცა ტომასის მამა, რომელიც ფრანგ ჟანდარმად მუშაობდა, გავლენიანი ადამიანი იყო, რამაც მის შვილს საშუალება მისცა ადგილობრივი სტანდარტებით კარგი განათლება მიეღო. მშობლებს სურდათ, რომ ტომასი კათოლიკე მღვდელი გამხდარიყო, მაგრამ ბიჭს სამხედრო სამსახურიი ზიდავდა.

1968 წელს 19 წლის ტომას სანკარამ სამხედრო ფარაჯა მოირგო. ჯარში ბიჭის განსაკუთრებული უნარები შენიშნეს და სასწავლებლად კუნძულ მადაგასკარზე, ოფიცერთა სკოლაში გაგზავნეს. კუნძულზე ტომასი მარქსიზმის იდეებს გაეცნო და „აფრიკული სოციალიზმის“ მგზნებარე მხარდამჭერი გახდა. ვოლტაში დაბრუნების შემდეგ იმედისმომცემი ახალგაზრდა ელიტური მედესანტეების ნაწილში ჩაირიცხა და მეზობელი მალის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა.

მალე განათლებული ოფიცერი, რომელიც ლექსებს წერდა და ჯგუფ „Tout-z-Coup Jazz“-ში გიტარაზე უკრავდა, ბურკინა – ფასოს დედაქალაქ უაგადუგუში ცნობილი ადამიანი გახდა. 1976 წლიდან ტომასი ვოლტას სპეცრაზმის სასწავლო ცენტრს სათავეში ჩაუდგა და მეგობრებთან ერთად რევოლუციური ორგანიზაცია შექმნა, რომელსაც „კომუნისტ ოფიცერთა ჯგუფი“ უწოდა.



1981 წლის შემოდგომაზე ტომას სანკარა სამხედრო მთავრობაში შეიყვანეს და ინფორმაციის მინისტრად დანიშნეს. 1982 წელს გადატრიალების შედეგად, ტომას სანკარა პრემიერ-მინისტრი გახდა, მაგრამ ფრანგებმა, რომლებსაც მისი მემარცხენე შეხედულებები აშინებდათ, თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს.

პრემიერ მინისტრის დასაცავად უაგადუგუს გარეუბნებში მცხოვრები ღარიბი ადამიანები აჯანყდნენ. 1982 წლის აგვისტოში სანკარას მხარდაჭერა სამხედროებმა გამოუცხადეს. 33 წლის ტომასი ციხიდან გაათავისუფლეს და პრეზიდენტად აირჩიეს. პრეზიდენტის რანგში სანკარას პირველი გადაწყვეტილება იყო ზემო ვოლტასთვის სახელის შეცვლა და ბურკინა ფასოს დარქმევა, რაც ითარგმნება როგორც „მოუსყიდველთა მიწა“.

სახალხო რეფორმები

ახალმა პრეზიდენტმა ქვეყანაში „ღირსების რევოლუცია“ გამოაცხადა, რომლის მიზანი კორუფციის, შიმშილის, ავადმყოფობის და გაუნათლებლობის დამარცხება იყო. სანკარამ გააუქმა ტომის ბელადებისთვის ხარკის გადახდა და გლეხებისთვის დაწესებული საშემოსავლო გადასახადი. ამის გარდა, უზრუნველყო ღარიბების საკვებით მომარაგება. მოხდა ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრება, აიკრძალა მრავალცოლიანობა და გოგონების სასქესო ორგანოების წინადაცვეთის ბარბაროსული ჩვეულება.

პრეზიდენტის განკარგულებით, ბურკინა ფასოს მოქალაქეებს რეგიონში გავრცელებულ დაავადებებთან ბრძოლის ფარგლებში 2,5 მილიონი ვაქცინა გაუკეთეს, მცირე მეწარმეებს უსამართლოდ დაკისრებული ვალები ჩამოაწერეს და უდაბნოს საზღვარზე, საჰარის ქვიშების შესაჩერებლად 10 მილიონი ხე დარგეს.

პრეზიდენტი „მერსედესისა“ და კონდიციონერის გარეშე

სანკარამ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა, მედიასაშუალებებზე კონტროლი აიღო და ვინც მის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა, თანამდებობიდან გაათავისუფლა, მაგრამ ღარიბებში და განსაკუთრებით ქალთა შორის მაინც პოპულარული იყო. პრეზიდენტმა თანამდებობის პირები აიძულა მხოლოდ ადგილობრივი წარემოების სამოსი ეტარებინათ და მიიღო კანონი, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებს საკუთარი შემოსავლების გასაჯაროებას ავალებდა.

პრეზიდენტმა სამთავრობო „მერსედესები“ გაყიდა და ჩინოვნიკები ყველაზე იაფ Renault 5 -ზე გადასვა. სანკარამ უარი თქვა კაბინეტში კონდიციონერის დამონტაჟებაზე, რადგან ქვეყნის რიგითი მოქალაქეებისთვის ასეთი ფუფუნება ხელმისაწვდომი არ იყო. სანკარამ ჩინოვნიკების კაბინეტში თავისი პორტრეტების დაკიდებაც აუკრძალა..

1986 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაცხადა, რომ ბურკინა ფასოში კორუფცია დამარცხდა. სანკარას „აფრიკელი ჩე გევარა“ უწოდეს, ის კი აგრძელებდა გზების მშენებლობას, სოციალური საცხოვრებლების შექმნას და გაუნათლებლობასთან ბრძოლას. ქვეყანა მთლიანად გათავისუფლდა ფრანგული კაპიტალის გავლენისგან, მაგრამ ეს არც პარიზს აძლევდა ხელს და არც მეზობელი აფრიკული ქვეყნების დიქტატორებს, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ბურკინა ფასოს მაგალითი გადამდები იქნებოდა და ცვლილებებს მათი ხალხიც მოითხოვდა.



„მოუსყიდველთა მიწის“ დასასრული

წარუმატებელი საგარეო პოლიტიკისა და მეზობლებთან დაპირისპირების გამო, ბურკინა ფასო იზოლაციაში აღმოჩნდა. ამან ეკონომიკური ზრდის შეჩერება გამოიწვია. 1986 წელს დაშლის პირას მყოფ სსრკ-სთან მეგობრობის დამყარების მცდელობა ჩაშალა. ამის შემდეგ ქვეყნის შიგნით პრეზიდენტის რეიტინგი დაეცა. სანკარას მისი ერთგული მეგობარი ბლეზ კომპაორე დაუპირისპირდა, რომელმაც ფრანგებთან კავშირი დაამყარა და 1987 წლის 15 ოქტომბერს გადატრიალება მოახდინა.

სანკარამ იცოდა, რომ კომპაორეს მისი მოკვლა სურდა, მაგრამ მეგობართან ანგარიშსწორებაზე უარი განაცხადა. პრეზიდენტი თავად გავიდა მთავრობის შენობაში შეჭრილ მედესანტეებთან შესახვედრად. სამხედროებმა სანკარა და მისი ოცი უახლოესი მხარდამჭერი დახვრიტეს, გარდაცვლილთა ცხედრები დაანაწევრეს და სხვადასხვა ადგილზე დაკრძალეს. ტომასის ცოლმა და ორმა ვაჟმა ქვეყნიდან გაქცევა შეძლო. ამბოხებულებმა დიდხანს ეძებეს პრეზიდენტის „ოქროს მთები“ და დამალული მილიონები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „მოუსყიდველთა მიწის“ ლიდერის ქონება მხოლოდ სამ გიტარას, ოთხ ველოსიპედსა და ძველისძველ ავტომობილ „პეჟოს“ შეადგენდა. ახალი პრეზიდენტის, ბლეზ კომპაორეს პირველი გადაწყვეტილება პირადი „ბოინგის “ შეძენა გახლდათ. ქვეყანაში პოლიტპატიმრებისთვის რამდენიმე ციხე აშენდა. დაიწყო უკმაყოფილო ადამიანების სიკვდილით დასჯა, თანამდებობის პირთა ხელფასები გაორმაგდა. საფრანგეთმა ხელისუფლების სათავეში კომპაორეს მოსვლას „დემოკრატიზაცია“ უწოდა. 1991 წელს ბურკინა ფასოში ჩატარდა არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა ქვეყნის მოსახლეობის 7% -მა მიიღო. ახალმა პრეზიდენტმა ხმების 100% და მსოფლიო სავალუტო ფონდის 67 მილიონიანი სესხი მიიღო. ახალი კონსტიტუციის თანახმად, ბლეზ კომპაორემ შეუზღუდავი ძალაუფლება მიიღო.

2014 წელს, სამხედრო გადატრიალების დროს, ბლეზ კომპაორემ თანამდებობა დატოვა. დღეს ბურკინა ფასო ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მოსახლეობის 90% სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აწარმოებს. ქვეყნის ეკონომიკას ისევ ფრანგული კაპიტალი მართავს.

დღეს აფრიკელი ახალგაზრდებისთვის ტომას სანკარა შავი კონტინენტის ჩე გევარად იქცა. ურუგვაის ყოფილ პრეზიდენტ, ხოსე მუხიკასთან ერთად, რომელიც პრეზიდენტობის დროს მოკრძალებულად ცხოვრობდა და ხელფასის 90% ქველმოქმედებას ახმარდა, ტომას სანკარა ისტორიაში ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტის სახელით შევიდა.

◎ ეს იცოდით?!

დედამიწის ისტორიაში ყველაზე დიდი ტბა, რომელიც საქართველოსაც ფარავდა...

დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ, არსებობდა პარატეთისის ზღვა – დედამიწის ისტორიაში უდიდესი „მეგატბა“, რომელიც დღევანდელ ხმელთაშუა ზღვაზე დიდი იყო. თანამედროვე რუკაზე, ის იტალიის ალპებიდან ყაზახეთამდე გადაიჭიმებოდა.

ამ დრომდე ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი პარატეთისის ზღვის დინებებისა და მიქცევა-მოქცევის შესახებ, მაგრამ ახალმა კვლევამ გამოავლინა ოთხი კატაკლიზმური, კლიმატის მიერ მართული ციკლი, რომლებმაც ეს ტბა ზომაში შეამცირეს და მასში ბინადარ სახეობათა მნიშვნელოვანი ნაწილიც გაწყვიტეს. პარატეთისის ზღვაში წყლის სიცოცხლე უნიკალური იყო, მოიცავდა ყველაფერს, მოლუსკებითა და კიბორჩხალებით დაწყებული, პატარა ვეშაპებითა და დელფინებით დამთავრებული, რომლებიც განვითარდნენ და შეზღუდულ გარემო პირობებს მოერგნენ. თუმცა, მკვლევართა განცხადებით, წყლის დონის შემცირებისა და მარილიანობის მომატების გამო, ამ ქმნილებათა ძალიან მცირე ნაწილი უნდა გადარჩენილიყო.

„ის პოსტ-აპოკალიფსური პრეისტორიული სამყარო უნდა ყოფილიყო, „შ“ უნაყოფო მიწე,ის საწყლოსნო ვერსია“, – ამბობს უტრეხტის უნივერსიტეტის გეოლოგი ვუტ კრიგსმენი. კრიგსმენი და მისი კოლეგები შავი ზღვის გარშემო სწავლობდნენ ნამარხებს, დანალექებსა და გეოლოგიას; შავი ზღვა პარატეთისის ზღვის ცენტრალური ნაწილი უნდა ყოფილიყო. შედეგად, გამოავლინეს რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში წყლის დონის მნიშვნელოვნად კლება. ამავე დროს, მოახდინეს რეგიონში წყლის დონის მოდელირება და სიმულირება.

ყველაზე ღრმა კლება ბოლოს უნდა მომხდარიყო, 7,65-7,9 მილიონი წლის წინ, რასაც ხერსონის დიდ გამოშრობას უწოდებენ. ამ ეპიზოდში, პარატეთისის ზღვის დონე 250 მეტრით დაეცა, მეგატბა მინიტბებად დაიყო, რომლებიც ცოცხალ არსებათა უმეტესობისთვის ტოქსიკური უნდა ყოფილიყო.

მეცნიერთა გათვლების მიხედვით, ამ მშრალ პერიოდებში მეგატბას ზედაპირის ფართობის 70 პროცენტი და წყლის მოცულობის მესამედი უნდა დაეკარგა. სიდიდის პიკში, მისი ფართობი 2,8 მილიონი კვადრატული კილომეტრი უნდა ყოფილიყო, წყლის რაოდენობა კი 10-ჯერ მეტი, ვიდრე პლანეტის დღევანდელ ყველა ტბაში ერთად.

ევრაზიაში ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებას გავლენა უნდა მოეხდინა ხმელეთზე მიმდინარე ცვლილებებზე, ღია გარემო ტყეებს უნდა ჩაენაცვლებინა, უნდა შეცვლილიყო ტყიანი ზონებიც. ბოლომდე გაურკვეველია, რა გავლენას ახდენდა ასეთი ევოლუციები ერთმანეთზე.

„მეგატბის ნაწილობრივ გაუწყლოება ემთხვევა ევრაზიაში კლიმატის, კვების ჯაჭვისა და ლანდშაფტის ცვლილებებს, მაგრამ უცნობი რჩება ზუსტი გამომწვევი მიზეზები და მექანიზმები“, – წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში. პარატეთისის ზღვა ტექტონიკური ძვრებისა და ცენტრალური ევროპის მთების აწევის შედეგად წარმოიქმნა; როგორც გეოლოგიური მტკიცებულებები მიუთითებს, მას ჯამში ხუთი მილიონი წლის განმავლობაში უნდა ეარსება, შემდეგ კი, ლანდშაფტის ცვლილებათა გამო, მისი წყალი ხმელთაშუა ზღვაში გადაიქაჩა.

კიდევ ერთი ახალი კვლევა აჩვენებს, როგორ გარდაქმნა წყლის დონის ვარდნამ პარატეთისის ზღვის სანაპიროები მინდვრებად, რამაც ხმელეთის ქმნილებების ევოლუციას ნაყოფიერი საფუძველი შეუქმნა. კლიმატის ცვლილების მიერ ლანდშაფტისა და ველური ბუნების ცვლილება ძალიან მწვავე საკითხია დღესაც, პარატეთისის ზღვის დაშრობიდან მილიონობით წლის შემდეგ. ყოველი ასეთი კვლევა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც დღეს ვდგავართ; წარსულის შესწავლას კი ბევრი რამის თქმა შეუძლია მომავლის შესახებ. კვლევა Scientific Reports-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

№ 129-130. ორშაბათი-სამშაბათი, 14-15 ივნისი, 2021 წელი.

უძველესი ქანდაკება თურქეთიდან

თურქეთში, იზმირთან ახლოს, აღმოაჩინეს ქალის ქანდაკება, რომელიც 1 800 წლის წინაა დამზადებული. ქანდაკების აღმოჩენის მიმდებარედ, არქეოლოგიური გათხრები მიმდინარე წელს კვლავ გაგრძელდება.

თურქეთის კულტურის სამინისტრომ Twitter-ის ოფიციალურ გვერდზე ვიდეოც გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, როგორ იღებენ ქანდაკებას მიწიდან.

ზედ წამწამზე მიზისართ...

ჩინელი იუ ჯიანჩი 2016 წლის 18 ივნისიდან გინესის რეკორდსმენია, როგორც ყველაზე გრძელი წამწამების მქონე ადამიანი. ამ დროს მისი წამწამის ზომა 12,4 სმ. (4,88 ინჩი) იყო. ყველაზე გრძელი წამწამის ღერი მას მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოზე ჰქონდა.

2021 წლის 20 მაისს ჯიანჩმა საკუთარი რეკორდი გაუმჯობესა. ახლა მისი ყველაზე გრძელი წამწამის სიგრძე 20,5 სმ-ია (8,0 ინჩ.) იუს ყველაზე გრძელი ღერი კვლავ მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოზე აღმოაჩნდა.



მილიონერი იყო და არ იცოდა...

აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში ქალაქ კოტსში მცხოვრებმა კაცმა მილიონი დოლარის მოგების შესახებ სამი კვირის შემდეგ შეიტყო.

ფედერიკ რასელ კეროლმა ლატარიის ბილეთი ავტოგასამართ სადგურზე იყიდა. **„როგორც ყველას, მეც მოგების იმედი მქონდა“,** — აცხადებს კაცი. მან ბილეთი საფულეში შეინახა და მისი არსებობის შესახებ დაავიწყდა. რასელს ბილეთის შესახებ, გათამაშებიდან მესამე კვირას გაახსენდა და ლატარიის გათამაშების შტაბ-ბინაში მივიდა, სადაც გაირკვა, რომ კაცმა 1 000 000 დოლარი მოიგო. **„საფულეში მილიონი დოლარი მედო და არ ვიცოდი“,** — აცხადებს კაცი. მისი თქმით, ის ფულს ცოლის მკურნალობაზე დახარჯავს, ხოლო დანარჩენ თანხას ოჯახის წევრებს გაუნაწილებს.

კოსმოსში ჯეფ ბეზოსთან ერთად

Amazon-ის მფლობელის ჯეფ ბეზოსთან ერთად კოსმოსში გამგზავრების მსურველი 428 მილიონს გადაიხდის. კოსმოსურ ხომალდზე ბეზოსის გვერდით ადგილი აუქციონზე ამ ფასად გაიყიდა. ინფორმაციას ორგანიზაცია Blue Origin ავრცელებს, რომელმაც აუქციონი გამართა.

„ბეზოსის გვერდით ადგილი აუქციონში მონაწილე 107-ე ნომერმა 428 მილიონად იყიდა“, — განაცხადა აუქციონის წამყვანმა.

ამ დრომდე არაა დაზუსტებული, თუ ვის აქვს შანსი, რომ ორბიტაზე Amazon-ისმფლობელთან ერთად გავდეს. Blue Origin-ის ცნობით ინფორმაცია რამდენიმე კვირაში გასაჯაროვდება. ამერიკული კორპორაცია Amazon-ის დამფუძნებელი, ჯეფ ბეზოსი კოსმოსში 20 ივლისს გაემგზავრება.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბადრი სურმანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ბადრი სურმანიძე (პ/ნ 01033004408), თბილისი, ენგურჰესის ქ, კორპ. 1, ბინა 4

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ტბეთის ქ. №18, ბინა №38 (საკადასტრო კოდი: 05.30.27.023.02.038).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28405.79 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 14 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 29 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP71666921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 716669

6. **მოვალე:** ბადრი სურმანიძე (პ/ნ 01033004408), თბილისი, ენგურჰესის ქ, კორპ. 1, ბინა 4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP71666921; ლოტის ნომერი: 716669).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 29 ივნისის 10:00 საათამდე.

(მეექვსე გვერდიდან)

როგორ დავამშოთ თვითონ შიმშილი?!

პურის მწარმოებლებსა და ხაბაზებს დიდი პატივით ეპყრობოდნენ არა მარტო ეგვიპტესა და ძველშუამდინარეთში, არამედ ძველ რომში, საბერძნეთში, ევროპის ქვეყნებში. რომის ცენტრში დღემდე შემორჩენილია ხაბაზ ვირგილიუსის 12-მეტრიანი ძეგლი. ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა ქალაქში იყო პურის ქუჩა, ხაბაზების უბანი, პურის მოედანი. გამონაკლისი არც ჩვენი დედაქალაქი გახლდათ, სადაც არსებობდა ხაბაზთუბანი, პურის მოედანი, პურის სახლი აბანოთუბანში.

ძლიერმა ვულკანმა, რომელიც გრენლანდიის მიწა-წყალზე ამოიფრქვა (ყინულის შრეებში სულ ახლახან იხილეს სპექტრული ანალიზის საშუალებით ამ ამოფრქვევის კვალი), რამდენიმე წლის განმავლობაში ატმოსფეროში დატოვა სულფატური მინარევები, რამაც კლიმატის შეცვლა გამოიწვია. ეგვიპტეში ნილოსის დონემ მკვეთრად დაიწია, ერთმანეთს გადაება მოუსავლიანი წლები, ამან შიმშილობა გამოიწვია. საგულისყურო ფაქტია ისიც, რომ ყველაფერი ფარაონს, როგორც უზენაესსა და ღმერთის წარმომადგენელს, დაბრალდა, ამას მოჰყვა საერთო აჯანყება, რაც კარგად გამოიყენეს რომაელებმა.

შიმშილობას ვერ გადაურჩა მარცვლეულით ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორც რუსეთია — ბორის გოდუნოვის მეფობის დროს სამჯერ, თითო წლის გამოტოვებით მოუსავლიანობის გამო, ცენტრალური რუსეთის მიწა-წყალი ასიათასობით ადამიანმა დატოვა.

შიმშილობა გამოწვეულია ხელისუფლების უნიათო მოქმედების გამოც. ამის მრავალი მაგალითია მსოფლიო ისტორიაში უხსოვარი დროიდან მოყოლებული. მაგალითისთვის კმარა 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციაც, რომლის ერთ-ერთი მიზეზი, მრავალ მიზეზთა შორის, პურის ნაკლებობაც იყო. მარია ანტუანეტას როდესაც მოახსენეს ყველაფერი პურის ნაკლებობის გამო იწყებაო, მან დაუფიქრებლად ბრძანა — პური თუ არა აქვთ, ადგნენ და „ბრიოში“ (შაქრიანი პური) მიირთვანო.

სულ ახლახან პურზე ფასების გაზრდის გამო სახელმწიფო გადატრიალებაც მოხდა ალჟირში.

გონიერ ხელისუფლებას შეუძლია შიმშილობისგან იხსნას ქვეყანაცა და ხალხიც. პეტრე I-ის დროს, როდესაც ხორბლის დიდი მარაგი ექსპორტზე გადიოდა ქვეყანას საფრთხეც დაემუქრა, იმპერატორმა მყისვე განაცხადა, უჩემოდ ერთი პეშვი ხორბალიც არ გავიდეს ქვეყნიდანო, რამაც რუსეთი შიმშილისგან იხსნა.

საბჭოთა კავშირის დროს სურსათით უზრუნველყოფის ნარკომი ალექსანდრე ვერუპა, რომელსაც სტალინი ჯერ კიდევ 1919 წლიდან იცნობდა და მას პრინციპულობისა და პატიოსნებისთვის აფასებდა, ერთ-ერთი თათბირის დროს გულწასული დაეცა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღის მშიერი იყო. იგი ერთ-ერთი ნარკომი გახლდათ, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი მშობლიურ გომელსკში. გონივრული დაგეგმარებისა და თვით სტალინისგან მიღებული დირექტივების შემდეგ ვერუპას ხელმძღვანელობით ქვეყანამ გასაჭირი დაძლია და საკმაოდ წარმატებითაც.

ამერიკელმა მეცნიერმა ნორმან ბერლოუგმა გენური ინჟინერიის წყალობით მოსავლიანობა თითქმის გაასამმაგა და ლათინური ამერიკა შიმშილისგან იხსნა. ბერლოუგს 1970 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში პრობლემები შეიქმნა ხორბლის მოყვანა-გადამუშავებაში. ლეგენდად დადის იმ დროს სტალინის შემონათვალი საქართველოს ხელისუფალთათვის — თამარის დროს თორმეტმილიონიან საქართველოს არ ჰქონდა სურსათის პრობლემები და ახლა რა დაგემართათო. მეორე წელს ხორბლის მოსავალი გაორმაგდა. დიდი შეცდომა იყო 50-იანი წლების შუახანების შემდგომ ძირითადი აქცენტის აღება სიმინდის ჩანაცვლებით მარცვლოვანი კულტურების წარმოებაზე და ჩაის, ციტრუსის, მეღვინეობისა და სუბტროპიკული კულტურების პრიორიტეტად დასახვა. ხორბლის წარმოებამ მეორე პლანზე გადაიწია და, მიუხედავად ენდემური ჯიშების უპირატესობისა, რუსეთიდან და ყაზახეთიდან შემოტანილმა ხორბალმა ჩაანაცვლა. მხოლოდ ახალი ზელანდიის მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც თითქმის ჩვენი ტერიტორიის მქონე ზელანდია ჩვენზე ხუთჯერ მეტ ხორბალს იღებს და ექსპორტზეც გააქვს. გონივრულ ქმედებაზე მიუთითებს ისრაელის მაგალითიც, რომელიც მტრულად განწყობილი ქვეყნების გარემოცვაშია და მაინც ახერხებს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებს აგვარებს მეზობლებთან...

როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეკონომიკური კავშირები გაწყდა ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებთან და ჩვენ, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს, ძალზედ წაადგა ამერიკული ხორბალი. სწორედ მაშინ შეიქმნა მომწესრიგებელი ორგანო, რომელიც სახელმწიფოს ეხმარებოდა ხორბლის მიღება-განაწილებაში, ფქვილით უზრუნველყოფასა და პურზე და პურპროდუქტებზე ფასების შენარჩუნებაში. მაშინ ქვეყანამ ამ გამოწვევას კარგად გაუძლო.

გონივრულ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოს მიერ ხორბალსა და ფქვილზე სუბსიდირება, რაც ახლაც გრძელდება და საბედნიეროდ ხელს უწყობს პურპროდუქტებზე ფასების მდგომარეობას. მაგრამ პრობლემაა ფასების ზრდა საწვავზე, ელექტროენერგიაზე, სხვადასხვა მასალაზე, რაც საჭიროა პურის საწარმოებლად.

ეს კი პრობლემას ქმნის ფასების მდგრადობაზე. როდესაც იზრდება შესაფუთი მასალის, ზეთის, საფუარის და დისტრიბუციის ღირებულება, ძნელია შეინარჩუნო წარმოებული პურის ფასი, მიუხედავად სუბსიდირებისა ხორბალსა და ფქვილზე, საჭიროა ჩამოყალიბდეს მკაფიო და სწორი პოლიტიკა, რათა შეიქმნას გარდამავალი სარეზერვო ფონდი. საჭიროა და აუცილებელიც აღდგეს 2007-08 წლებში გაყიდული წისქვილკომბინატები, რათა დამოკიდებული არ ვიყოთ შემოტანილი ფქვილის ფასების ზრდაზე. გადასახედია ნედლეულის (ტრანსპორტის, წყლის, ელ.ენერგიის) ფასების რეგულაცია. ხელი უნდა შეეწყოს რუსეთიდან ხორბლის შემოტანის საკითხს. ეს კი აუცილებელია და სასარგებლოდ წაადგება ჩვენს ეკონომიკასა და მოსახლეობას.

მალხაზ დოლიძე,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი.

◎ მწვერვალზე

მოოქროვილი „ბრინჯაოები“

მას შემდეგ, რაც ბუდაპეშტში „ოქრო-ვერცხლი“ მოვიხვეჭეთ, ხასიათი გამოგვიკეთდა, მადა ჭამაში მოგვივიდა და ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში საპატიო მეორე ადგილზე გასვლის სავსებით საფუძვლიანი ამბიციებიც გაგვიჩნდა, რადგან როგორც უპირატესად ქალთა, ისე ვაჟთა ტურნირში იაპონელებმა იმდენი უმაღლესი ხარისხის ჯილდო მოიპოვეს, მათთვის გასწრება უტოპიად აქციეს. სამაგიეროდ, მხოლოდ ვაჟებში ჩვენი პირველობა სავსებით რეალური ჩანდა და საბოლოოდ ასეც მოხდა.

საამისოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა 90 კილოში მოასპარეზე ბექა ღვინიაშვილს მოუწია. თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო – ქართველმა ფალავანმა სასტარტო ბრძოლაში ორჯერ დაანარცხა ვაზარიზე შვეიცარიელი გროსკროიცი და უკვე გამარჯვებასაც ზეიმობდა, მაგრამ, როგორც მსაჯთა კოლეგიამ ვიდეოგამეორებისას დაადგინა, მეორე ცდაზე წესი დაარღვია, მეტოქეს ფეხის დახმარებით აკრძალული ილეთი ჩაუტარა და დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა.

ბუნებრივია, ჩინებულ კონდიციებში მყოფი ფავორიტის ფორუმიდან მოხსნა ჩვენი ნაკრებისა და მის ქომაგთათვის ნოკაუტის ტოლფასი ფსიქოლოგიური დარტყმა გახლდათ, მაგრამ მცირე შვება ტატამის დიდოსტატად ჩამოყალიბებული **ნიკოლოზ შერაზადიშვილის** ტრიუმფმა მოგვგვარა, რომელიც ესპანეთის სახელით მეორედ გახდა პლანეტაზე საუკეთესო!

მოვლენათა ასეთი არასასიამოვნო სცენარით განვითარების მიუხედავად გვწამდა, რომ ჩვენი გუნდის სტაბილურობით გამორჩეული კაპიტანი **ვარლამ ლიპარტელიანი,** უპირველესად, საკუთარ თავს მოერეოდა და მისთვის აქამდე დაუპყრობელ მწვერვალს ღირსეულად შეუტევდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მთავარ კონკურენტს – ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელს, ძალიან ძლიერ კეტანარო იიდას, დააყრევინა ფარ-ხმალი, მაგრამ სერბ ალექსანდრ კუკოლთან მოულოდნელი მარცხიანი სიურპრიზი შემოგვთავაზა და 100 კილოში მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონს ამჯერად მესამე „ბრინჯაოსთვის“ მოუწია ბრძოლის გაგრძელება.

მსგავსი როლის შესრულება მოუხდა ამავე წონის ჭაბუკ ტყიბულელ მოჭიდავეს **ილია სულამანიძესაც,** ოღონდ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა ეროვნულ ნაკრებში უკანასკნელ მომენტში ჩარიცხულ 19 წლის უნიჭიერეს თინეიჯერს ჯიგრიანი დებიუტისთვის სამადლობელი სტრიქონები ეკუთვნის.

საბედნიეროდ, ბოლო კეთილი აღმოჩნდა, ორივე ქართველმა ძიუდოისტმა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ააბიჯა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე არნახული მოსავალიც მოვიწიეთ – 4 მედალი, **ლაშა გუჯეჯიანი** კი მადიართა ქვეყნიდან ყველაზე წარმატებულ თანამემამულე მწვრთნელად დაგვიბრუნდა.

რაც შეეხება ჩვენებურთა მონაგარს, ლიპარტელიანის მოგებაზე პრინციპულ იაპონელ მეტოქე იიდასთან ზემოთ უკვე ვწერდით. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ლიდერის მიერ ნიდერლანდელ კატარინასთან, რუსეთელ არმან ადამიანთან და მეორე ნიდერლანდელ მიხაელ კორელთან მედლისთვის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებები.

ამ უკანასკნელს „ლიპომ“ კარიერის საწყის ოთხ შეხვედრაში კი სძლია, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და თავმოყვარეობაც შეელახა, მაგრამ ბუდაპეშტის ლასლო პაპის სახელობის დარბაზში ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია და, ყოველ შემთხვევაში, კორელზე ძლიერია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება ნაადრევად დაღვინებული სულამანიძის უნგრული თავგადასავალი.

თურქ და მონღოლ კერკეტ კაკლებზე რომ არაფერი ვთქვათ, მან კიმონოს სამყაროში ისეთი დაფასებული ყოჩები დაჯაბნა, როგორიც აზერბაიჯანელი გასიმოვი, ფრანგი იდირი და „ბრინჯაოსთვის“ გამართულ შერკინებაში – კანადელი შადი ელ ნაჰასი არიან.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მსოფლიოს მოქმედ და უკვე ორგზის ჩემპიონს – მოზამბიკში დაბადებულ პორტუგალიელ (ხომ არ გეცნოთ ლეგენდარული ეუსებიოს ბიოგრაფია?) ჟორჟე ფონსეკას, ვისთანაც ერთადერთი მარცხი იწვნია, ილიამ თბილისის ამასწინანდელ გრანდ სლემზე მოუგო.

ასე რომ, არაფერი საგანგაშო არაა იმ ფაქტში, წონის გამოკვეთილმა ლიდერმა ამჯერად რევანში რომ აიღო – დიდი ალბათობით, სულამანიძე მომავალში დიდ პრობლემებს შეუქმნის როგორც კონკრეტულად პირნეელ ვარსკვლავს, ისე ზოგადად მთელ ელიტას, ეს კი იმის წინაპირობა იქნება, რომ თვითონ გახდება მისაბაძი მაგალითი.

◎ ლეგიონერი

ტიტული ტიტულია

ცსკაში გატარებული პირველი სეზონი თორნიკე შენგელიამ ვითიბი ლიგაში მოპოვებული გამარჯვებით აღნიშნა.

ბერძენი მწვრთნელის – დიმიტრის იტუდისის გუნდი რუსეთში რომ საუკეთესოა, ყაზანის „უნიქსთან“ სატიტულო სერიაში მიღწეული სოლიდური უპირატესობა მოწმობს – 3:0, თუმცა, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი თანაკლუბელთა წარმატებაში „ჯვაროსანთა“ ლიდერის მიერ შეტანილი ღირსეული წვლილია.

ეს განსაკუთრებით მოსკოვში გამართულ მესამე ბრძოლაზე ითქმის, რომელიც არმიელებმა 90:81 მოიგეს, სასტარტო ხუთეულის წევრმა ჩვენმა თანამემამულემ კი 35(!) წუთში პარტნიორებს ყველაზე მეტი – 19 ქულა, 7 მოხსნა და თითო პასი – დაფარება შეაშველა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროლიგის შარშანდელმა ჩემპიონმა წლეულს ამავე ტურნირის ნახევარფინალამდე მიაღწია, ჩვენებურის დებიუტს ურიგო ნამდვილად არ ეთქმის.

◎ სისხლის ყივილი

ის უკვე კაცია!

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეტნაკლებად ყველა რგოლში ჰყავს ლიდერები, მაგრამ იმ კონკურენციას, რომელიც მოიერიშეთა შორისაა, ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებს, თუ, რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი მწყობრში იქნება.

ამ მხრივ ვილი სანიოლს თავსატეხი კიდევ უფრო მოემატა მას შემდეგ, რაც „ჯვაროსანთა“ შემადგენლობაში თამაშზე შეაჩერა არჩევანი 20 წლის **გიორგი წიტაიშვილმა,** რომელიც თანატოლთა შორის უკრაინელთა მაისურით მსოფლიოს ჩემპიონი, ფინალური მატჩის ერთ-ერთი გმირი და კორეელთა კარში გატანილი გადამწყვეტი ბურთის ავტორია.

თუ რას ნიშნავს კიევის „დინამოში“ ადრეულ ასაკშივე დაოსტატება-დამკვიდრება, კარგად ვიცით კახი კალაძის მაგალითით, სწრაფი და ჯიგრიანი ფლანგელის კიდევ ერთი ღირსება კი საგოლე ალღოა.

გასათვალისწინებელია შარშანწინდელი ტრიუმფით ჩამოყალიბებული გამარჯვებულის მენტალიტეტიც, რაც ჩვენი გუნდის დებიუტანტს მთელი კარიერის განმავლობაში ფსიქოლოგიური ტონუსის ამამაღლებელ ფაქტორად უნდა ექცეს, ეს კი, ბუნებრივია, მის პარტნიორებსაც ერთგვარ სულიერ დოპინგად გამოადგებათ.

სწორედ ასეთი კოზირით დამუხტვა მიგვაჩნია იმ ჯოკრად, რაც ჩაკვეტაძის, კვარაცხელიას, ლობჟანიძის, მიქაუტაძის, კიტეიშვილის, ქვილითაიას, დავითაშვილის, კაჭარავას, ზივზივაძის, ოქრიაშვილისა და ყაზაიშვილის თაობას დღემდე გულშემატკივართათვის აუხდენელი ოცნების ასრულებაში უნდა დაეხმაროს, მუნდიალზე ან ევროპის ჩემპიონატზე გასვლა რომ ჰქვია.

და ბოლოს: გიორგი წიტაიშვილი თბილისის „დინამოსა“ და ქართველ ფეხბურთელთა ნავთსაყუდელის – კვიპროსის ქალაქ ფამაგუსტას „ანორთოსისის“ შედეგიანი თავდამსხმელის კლიმენტი (კობა) წიტაიშვილის ვაჟია, გადამწყვეტ ვითარებაში მშობლიური ფესვებისთვის უპირატესობის მინიჭება კი მრავლისმეტყველი ფაქტია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა შენს აღმზრდელ ქვეყანასა და კლუბში გაცილებით მაცდური პერსპექტივაა გადაშლილი. ასე რომ, ის უკვე კაცია!

◎ ევრო – 2020

წუთისოფელი ასეა...

კოვიდპანდემიის გამო ერთი წლის დაგვიანებით დაწყებულმა ევრო – 2020-მა რომის „ოლიმპიკოზე“ იტალია – თურქეთის მატჩით აიღო სტარტი და მასპინძელთა თამაშმა ის „სკუადრა აძურა“ გაგვახსენა, 1978 წელს ენცო ბეარზოტმა არგენტინის „მუნდიალზე“ რომ ჩაიყვანა და ბეტეგა-როსის თამადობით შემტევ ფეხბურთს ძეგლი დაუდგა.

სახელოვან წინამორბედთან შედარებით, რობერტო მანჩინის შექმნილი ანსამბლი უკვე ოთხი წელია დაუმარცხებელია და 28 შეხვედრიდან 23-ე ბრძოლა მოიგო, თანაც მიმდინარე სეზონის 10 მატჩში ბურთი არ გაუშვია.

იტალია – თურქეთი 3:0

პირველი ტაიმი 0:0

გოლები: დემირელი (საკუთარ კარში), იმობილე, ინსინიე.

ფორუმის გახსნის ზღაპრულ ცერემონიალს ჰარმონიულად შეერწყა ტრიბუნებზე დაახლოებით 15 ათასი გულშემატკივრის დაშვება, საიდანაც სტუმართა ქომაგების რაოდენობა „ტიფოზებისას“, სულ მცირე, არ ჩამოუვარდებოდა.

ასეთმა მხარდაჭერამ შენოლ გიუნეშის გუნდს, რომელმაც ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში თვით ნიდერლანდები დააჩოქა, მხოლოდ პირველ ტაიმში გააძლებინა, შესვენების შემდეგ კი აპენინელები, უბრალოდ, შეუჩერებელნი გახდნენ, რაც ტაბლოზეც აისახა.

მოკლედ, შეიძლება ბევრმა თქვას, იტალიელთათვის ევროპის ჩემპიონატის ფავორიტის სტატუსის მინიჭება ერთი თამაშის მიხედვით ნაადრევიაო, მაგრამ ეს გუნდი რომ ყველასათვის თავის ტკივილად შეიძლება იქცეს, დაგვეთანხმებით, სავსებით მოსალოდნელია, მით უმეტეს მაშინ, როცა დარჩენილ ჯგუფურ მატჩებს შვეიცარიასთან და უელსთან ისევ რომში გამართავს.

შვეიცარია – უელსი 1:1

პირველი ტაიმი 0:0

გოლები: ემბოლო; მური.

„ა“ ჯგუფის მეორე შეხვედრაშიც კვანძი შესვენების შემდეგ გაიხსნა, ეს შედეგი კი ყველაზე მეტად თურქეთს აწყობდა, რადგან მისმა უშუალო კონკურენტებმა ერთმანეთი დაამუხრუჭეს.

ადგილების საბოლოო განაწილებასა და პლეი-ოფში გასვლაზე ადვილი შესაძლებელია აღნიშნული კვარტეტის დარჩენილი მატჩების კალენდარმაც იქონიოს გავლენა და ამ მხრივ ოსმალები უკეთეს პოზიციაში არიან – ისინი ხომ ორივე მეტოქეს ბაქოში გაუმართავენ ბრძოლას, სადაც თავს ისე იგრძნობენ, როგორც სამშობლოში.

სხვათა შორის, სწორედ აზერბაიჯანის დედაქალაქში მოეწყო ფორუმზე ფრედ დასრულებული პირველი თამაში, რომლის საწყის 45 წუთშიც პეტკოვიჩის გუნდმა ბრიტანელთა კართან 7(!) კუთხური ჩააწოდა.

სავსებით ლოგიკური გახლდათ, რომ მინდორზე საუკეთესო ემბოლომ ანგარიში სტანდარტულიდან გახსნა, მაგრამ დაწინაურებამ ალპური სახელმწიფოს ქვეშევრდომებს დათვური სამსახური გაუწია და სასურველი შედეგის შესანარჩუნებლად ნაადრევად გადართულნი კანონზომიერად დაისაჯნენ – ისინიც კუთხურის გათამაშების შედეგად.

დანია – ფინეთი 0:1

პირველი ტაიმი 0:0

„ბ“ ჯგუფი ბრძოლაში სკანდინავიური დერბით ჩაება და კინაღამ ისეთი ტრაგედიით დასრულდა, არაა გამორიცხული, მთელი ტურნირის ნაადრევი ფინიში გამოეწვია.

საუბარია პირველი ნახევრის მიწურულს მომხდარ ფაქტზე, როცა აუტის ხაზთან მასპინძელთა ლიდერ კრისტიან ერიქსენს გული გაუჩერდა და უგონოდ დაეცა...

ხანგრძლივი სამედიცინო პროცედურების შემდეგ ცნობიერებადაბრუნებულმა ვიკინგთა შთამომავალმა წინაპართა საკადრისი გადაწყვეტილება მიიღო – თანაგუნდელებს დაურეკა(!) და თამაშის გაგრძელება სთხოვა. არადა, უეფას შეხვედრა უკვე გადატანილი ჰქონდა.

ცნობისთვის: გუნდის კაპიტანმა; ერიქსენმა სახელი „აიაქსში“ ბურთაობით გაითქვა, შემდეგ 7 სეზონი „ტოტენჰემში“ გაატარა, ხოლო ერთი თვის წინათ „ინტერში“ სკუადეტო მოიგო. რაც შეეხება ნაკრებს, მადსენის, სიმონსენის, ელკიაერისა და ლაუდრუპის სამშობლოში მოქმედ ფეხბურთელთა შორის იგი საუკეთესო ბომბარდირია – 109 მატჩში 36 გოლი.

ეს, ასე ვთქვათ, ციფრების ენით, მაგრამ, დაგვეთანხმებით, უმთავრესია ადამიანური ფაქტორი და ვიმედოვნებთ, კრისტიანის პარტნიორები მალე გამოვლენ ფსიქოლოგიური შოკიდან და კაპიტანს, მინიმუმ, ურთულესი ჯგუფიდან გასვლას მიუძღვნიან.

რუსეთი – ბელგია 0:3

ბოლომდე მოუშუშებელი დე ბრუინის არყოფნის მიუხედავად, ბელგიელებმა ლუკაკუს დუბლით იოლად გაამართლეს ფავორიტის სტატუსი და ისტორიაში მასპინძლებს რვიდან მეექვსე ბრძოლა მოუგეს (2 ფრე), თანაც ამჯერად – სანკტ პეტერბურგში. სხვათა შორის, რუსთათვის იმ ნავსიან შაბათს პავლიუჩენკოვამაც წააგო როლან გაროსის ფინალი.

გახსენება

ციალა პაპიაშვილი

ორმოცი დღე გავიდა, რაც კიდევ ერთი ღირსეული ინტელიგენტი გამოაკლდა მუსიკალურ, და არა მარტო მუსიკალურ საზოგადოებას. იგი წავიდა ჩუმად, უხმაუროდ, ისე როგორც იცხოვრა. არავინ არ შეუწუხებია. მისმა უეცარმა სიკვდილმა დიდი ტკივილი მოგვაყენა. ქვეყანაში არსებული რთული ვითარების გამო, ბევრმა დროულად ვერ გავიგეთ და ვერც კი გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე...

ციალა პაპიაშვილი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ზნეობრიობით, პრინციპულობით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ერთგულებით საქმისადმი, მეგობრებისადმი და საერთოდ ადამიანებისადმი. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს მისთვის დამახასიათებელი შესაშური თავმდაბლობა, მორიდებულობა.

ქართული ტრადიციების ერთგულ ოჯახში გაზრდილისთვის ადვილი იყო ადრეული ასაკიდანვე მკვეთრად გაემიჯნა რეალური ფასეულობები, მაღალი სულიერი კულტურა და, სამწუხაროდ, ბოლო ათეული წლების მანძილზე ხელოვნურად შექმნილი და თავსმოხვეული ე.წ. „იდეალები“, რაც ჩვენი თაობისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა.

სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მე-4 სამუსიკო სასწავლებელში მუსიკის თეორიის განხრით. იმ დროს, სასწავლებლისთვის ეს თეორეტიკოსების მეორე გამოშვება იყო. სტუდენტების რიცხვი კი მცირე, სულ 6 სტუდენტი (ციალა პაპიაშვილი, ნანა გოცირიძე, ბელა გრიგოლაშვილი, დალი ცქიფურიშვილი, მერი შოშიაშვილი, ვერა გავრილიდი). სწავლის პერიოდში ერთი ყურადსაღები ცვლილება მოხდა. სასწავლებლის დირექტორის, აქტიური და ნოვატორული ქ-ნი ქსენია ჯიქიას პირადი ინიციატივით, იმ დროისთვის საკომპოზიტორო შემოქმედებაში დამწყებ, ხოლო შემდგომში სახელოვან კომპოზიტორებს გია ყანჩელს, ნუგზარ ვაწაძეს და ვაჟა აზარაშვილს დაევალათ დასწრებოდნენ მეოთხეკურსელი ზემოთ ხსენებული თეორეტიკოსების ლექციებს, რათა მათთვის ისეთი ფუნდამენტური საგნები, როგორიცაა მუსიკის საფუძვლები- სოლფეჯიო, ჰარმონია, მუსიკალურ ნაწარმოებთა ფორმა და ანალიზი, შეესწავლათ აღიარებული პროფესიონალისა და იმავდროულად სიმკაცრით ცნობილი პედაგოგის, პროფესორ ქრისტეფორე არაქელოვის ხელმძღვანელობით, რამაც უდავოდ სასურველი შედეგი გამოიღო.

ციალა პაპიაშვილმა წარჩინებით დაამთავრა მე-4 სამუსიკო სასწავლებელი. სწავლა გააგრძელა თბილისის კონსერვატორიაში.კონსერვატორიაში ჩარიცხვის შემდგომ კი, ხსენებულ თეორეტიკოსთა და კომპოზიტორთა შორის კიდევ უფრო გამყარდა მეგობრული კავშირი. ისინი ერთმანეთის წარმატებების გულწრფელი მოსურნე და გამზიარებლები გახდნენ.

ციალა პაპიაშვილი პროფესიონალი იყო მუსიკის თეორიის დარგში, თუმცა თვალსაჩინო იყო ისიც,რომ მისი ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მუსიკის სფეროთი. იგი კლასიკური ქართული, რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურით იყო გატაცებული და ამ ლიტერატურის კარგი მცოდნეც გახლდათ, ერთნაირად კარგად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, რაც არაერთხელ გამოუმჟღავნებია და აღუნიშნავთ კიდეც მის კოლეგებს მასთან საქმიანი ურთიერთობისას კომპოზიტორთა კავშირში სწავლული მდივნის მოვალეობის შესრულებისას. იგი ამ პოსტზე რამდენიმეჯერ იყო არჩეული და ადვილი წარმოსადგენია, სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა ნირისა და გამოხატვის ფორმების მქონე ხელოვნების „ჭირვეულ“ წარმომადგენლებთან რა რთულია საქმის მართვისას ყოველთვის შეინარჩუნო წონასწორობა. საბედნიეროდ,სიდინჯე, თავმდაბლობა, თავაზიანობა, თავდაჭერილობა ციალას დამახასიათებელი თვისებები იყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ათეული წლების მანძილზე, კომპოზიტორთა კავშირიდან დავალებული სხვადასხვა სამუშაოების პარალელურად, მისთვის ჩვეული ოსტატობითა და რუდუნებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას პირველ სამუსიკო სასწავლებელში. უყვარდა მოსწავლეები, ეადვილებოდა მათთან ურთიერთობა, საპასუხო სიყვარულიც არ აკლდა მათგან, რასაც ისიც მოწმობს, რომ მათ შორის დიდხანს გრძელდებოდა ახალ ეტაპზე გადასული მეგობრული და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობები.

ვფიქრობთ, არანაკლებ საამაყოა ისიც,რომ მის პროფესიულ სამოღვაწეო ასპარეზს სხვა ფუნქციაც დაემატა: იგი, ღვთის მადლით, დიდი ოჯახის დიდი დიასახლისიც გახდა, რომლის მართვაში მუდამ გვერდში ედგა მეუღლე, შემოქმედი, ცნობილი ენერგეტიკოსი, არაერთი წარმატებული პროექტის ავტორი.

ვაჟიშვილი — ზურაბ გეწაძე, მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდა, დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ფლეიტის სპეციალობით; ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკაში (ფერწერაში, გრაფიკაში, ფოტოგრაფიაში). საქართველოში, გრაფიკაში მოდერნისტული მიმდინარეობის ერთერთი პიონერი იყო, რაზეც, თავის დროზე, არაერთხელ დაიწერა ადგილობრივ პრესაში . **შვილიშვილები**: (მშობლები — **ზურაბ გეწაძე** და **მანანა ცირამუა,** რომელმაც თავი არ დაზოგა და სამაგალითო შვილები აღზარდა. მანანა ცირამუა, ფართო განათლების მქონე თანამედროვე ქალბატონია, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკოსი, ამჟამად ტურისტული კომპანიის „Georgian Holidays“-ის გენერალური დირექტორი გახლავთ). **გიორგი** — ასტროფიზიკოსი; **თორნიკე** — კონცერტმაისტერი ჩელისტი, ამჟამად კონსერვატორიის დოქტორანტი; **ნინო** — ტურიზმის მენეჯერი და სასტუმროების მართვის სპეციალისტი; **საბა** — ფინანსური ანალიტიკოსი.

დღეს ოჯახში იზრდება **10 შვილთაშვილი** 3 ვაჟი, 7 გოგონა.

როდესაც ცხოვრებამ ციალას წინაშე სხვა მოთხოვნები დააყენა, მან თავისი პირადი პროფესიული საქმიანობა პედაგოგიურ ასპარეზზე უყოყმანოდ დათმო და მიზნად დაისახა ქვეყნისთვის ღირსეული მოქალაქეების აღზრდაში თავისი წვლილიც შეეტანა. აქაც მისთვის ჩვეული ღირსეული ნაბიჯი გადადგა...

2001 წლის აღდგომა დღეს, 83 წლის ასაკში განერიდა ამ წუთისოფელს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

სკოლის, სასწავლებლისა და კონსერვატორიის მეგობრები:

ნანა ავალიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, მანანა ახმეტელი, ბარამ ბარამიძე, ირინა ბარბაქაძე, ციალა ბაძოშვილი, ცისანა ბოცვაძე, თამაზ გადილია, მზია გელაძე, დალი გიორგაძე, ნანა გოცირიძე, ბელა გრიგოლაშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ნინო მაისურაძე, დოდო მესხი, თინა რამიშვილი, დოდო რუხაძე, ია საკანდელიძე, ლენა სვანიძე, რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე.

სანთელი

ღვაწლ-მოსილი

არჩილ ჩოგოვაძის ხსოვნა

საქართველოს მხატვართა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი შემოქმედი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დავით კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი არჩილ ჩოგოვაძე. დაიბადა 1925 წლის 25 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში. 1936-41 წწ. სწავლობდა ქალაქის სამხატვრო სტუდიაში ივანე ჭეიშვილის ხელმძღვანელობით. 1943 წლიდან — მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1956 წელს დაამთავრა თსს აკადემიის გრაფიკის განყოფილება. იმავე წლიდან მონაწილეობდა საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.

არჩილ ჩოგოვაძე, შემოქმედებით მოღვაწეობის მიღმა, წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი წარმატებული ხელოვანის აღზრდის საქმეში. არჩილი იყო ქუთაისის გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი. 1956-70 წლებში იყო ქუთაისის სამხატვრო საწარმოო სახელოსნოების დირექტორი. 1972-85 წლებში ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეიის დირექტორი. 1989-2004 წლებში — ქუთაისის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტში პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, შემდგომ — ფერწერისა და ხატვის პედაგოგი.

არჩილ ჩოგოვაძე გახლდათ თვითმყოფადი, შემოქმედებითი სტილის მქონე ოსტატი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა რეალისტური ხელოვნების მთელ სიმდიდრეს. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, საქართველოს კულტურის სამინისტროს, სამხატვრო გალერეების ფონდებში და კერძო კოლექციებში.

მხატვრის ბიოგრაფია და ნამუშევრები შესულია საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში, „ქართველი მხატვრები 2014-2015წწ“. — სამხატვრო გამოფენების კატალოგებში, ალბომში და მრავალი სხვა.

საქართველოს მხატვართა საზოგადოება, მწუხარებითა და გულისტკივილით ეთხოვებიან ღვაწლმოსილ შემოქმედს, უაღრესად კეთილშობილ, სამაგალითო კოლეგას, პედაგოგსა და პიროვნებას არჩილ ჩოგოვაძეს. ღმერთმა ნათელში დაუმკვიდროს სასუფეველი.

საქართველოს მხატვართა კავშირი,
ქუთაისის (იმერეთის) მხატვართა რეგიონული ორგანიზაცია და გალერეა „ვარლა“

შს სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ქუთაისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.კ. ქუთაისში დააკავეს. ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ზ.კ.-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების — პირადი ჩხრეკის დროს, ბრალდებული ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომელს — 1986 წელს დაბადებულ დ.გ.-ს თავს დაესხა და ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა.

სენაკის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

შემთხვევა სენაკის სოფელ ხორშთან საავტომობილო გზაზე მოხდა. **გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტს წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება. ფეხის არეში დაჭრილი მამაკაცი ჯერ სენაკის კლინიკა „არქიმედეში“, შემდგომ ქუთაისში გადაიყვანეს.**

ექიმის ინფორმაციით, პაციენტის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

„ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ“

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჟურნალმა „ლე ფიგარომ“ საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ჟურნალში თბილისი, ქართული სამზარეულო და მეღვინეობა არის აღწერილი.

უწყების ცნობით, საფრანგეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადის გაზრდის და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ „ლე ფიგაროს“ ჟურნალისტისა და ფოტოგრაფისთვის საქართველოში პრესტური გამართა.



„საქართველოს მთავარი გამზირი სახელგანთქმული მწერლის სახელს ატარებს. ეს აქაური ელისეის მინდვრებია, სადაც ულამაზესი შენობებია განლაგებული. მათ შორის, რენესანსულ-კავკასიური სტილის ოპერის შენობა. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ცარისტული გავლენის ქვეშ მყოფი ქალაქი სწრაფად ვითარდებოდა. შედარებით შეძლებულმა ხალხმა აქ აიშენა მცირე სასახლეების მსგავსი ვილები, როგორიცაა მაგალითად, ამჟამინდელი სახვითი ხელოვნების სკოლა „ათასერთი ღამის“ სასახლის მსგავსი ინტერიერით, სარკეებიანი დარბაზებით, დამზადებული (ირანელი ყაჯარი ოსტატების მიერ) ყაჯარის სტილში.

რაც შეეხება მწერალთა სახლს, ეს არტნუვოს სტილის ნამდვილი სამკაულია, სადაც მწერლები ბინადრობდნენ და სადაც ლიტერატურული შეხვედრები იმართებოდა, მსგავსი შეხვედრის მონაწილე ნობელის პრემიის ლაურეატი, სვეტლანა ალექსიევიჩი გახლდათ. მწერალთა სახლში, ახლო მომავალში, საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული მწერლებისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება.

სკოლებში ცუდად ისწავლება აღნიშნული პერიოდის ისტორია, ჩვენ კი ვცდილობთ, აღვადგინოთ იმდროინდელი რეალობა“, — წერს „ლე ფიგაროს“ ჟურნალისტი და თბილისის აღწერასთან ერთად სტატიაში მნიშვნელოვან დროს უთმობს ქართულ სამზარეულოსა და ღვინოს.

„ამ ქვეყანაში ღვინის დამზადების ტრადიციულ მეთოდს იყენებენ. საქართველომ, თავისი ნაყოფიერი და ღვთის მიერ დალოცვილი ნიადაგის წყალობით, ღვინის წარმოება რვა ათასი წლის წინ დაიწყო“.

„ღვინო და ქართული სამზარეულო სულ უფრო მეტ ფრანგს იზიდავს“, — აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი. **„მე ყოველთვის მინდოდა მონაწილეობა მიმეღო ქვეყნის განვითარებაში ჩემი პროფესიული გამოცდილების გამოყენებით, თუმცა, ამდენზე არც მიოცნებია“,** — გაგვანდო პროევროპელმა პრეზიდენტმა.

მართლაც, რა მოხდება, თუ ამ პატრიარქალური და ტრადიციებით გაჟღენთილი ქვეყნის განახლება ქალების ხელით მოხდება? ამ ქვეყანაში ყველა ქალბატონში თამარ მეფის სისხლი ჩქეფს, რომელმაც მე-12 საუკუნეში სამეფო „ოქროს ხანად“ წოდებულ ეპოქამდე მიიყვანა. ეს ფიქრები ჩვენ თან გვდევს, როცა ქალაქის ირგვლივ არსებულ, კლდის ყვავილებით მოფენილ სიმაღლეებზე ავდივართ. „ქართლის დედის“ ქანდაკებასთან ჩურჩულით წარმოვთქვამთ — „თბილისი“.

ეს სახელი ნიშნავს „თბილს“ თბილი წყლების მსგავსად. ასე რომ, აქ და ახლა, გული სითბოთი ივსება“, — წერს „ლე ფიგაროს“ ჟურნალისტი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, „ლე ფიგაროს“ ჟურნალი ყოველკვირეულად 370-ათასიანი ტირაჟით იბეჭდება, ხოლო ვებგვერდს ყოველთვიურად 146 მილიონამდე ვიზიტორი ჰყავს.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ
ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიის მხარდაჭერით, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ახალ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელიც დიდი ქართველი მუსიკოსის — მომღერლის, საგუნდო დირიჟორის, ხალხური სიმღერების შემკრებისა და პედაგოგის, ანზორ ერქომაიშვილის სახელს ატარებს.

ფესტივალი ანზორ ერქომაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად და იმ საქმისადმი მადლიერების გამოსახატად დაარსდა, რომელიც მან ქართული ფოლკლორის გადარჩენისა და განვითარებისთვის გასწია. ღონისძიების სტატუსი საერთაშორისოა, თუმცა წელს მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო, ფოლკლორული ანსამბლების სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანა ვერ ხერხდება, რის გამოც, მსმენელის წინაშე საკონცერტო პროგრამებით მხოლოდ ქართული ანსამბლები წარდგებიან.

ფესტივალზე წელს ოთხი კონცერტი გაიმართება:

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“; ქართული სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“; საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“; აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“; ქვეყანაში არსებული კოვიდ-რეგულაციებიდან გამომდინარე, ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ელექტრონულად, პორტალზე www.biletebi.ge.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲐᲣᲓᲘᲝ-ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ „ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲢᲐᲔᲞᲘ“

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ფარგლებში, „არტარეის“ და თბილისის მერიის თანამშრომლობით აუდიო-მუსიკალური საღამო „ციფრული ტაეპი“ გაიმართა. ღონისძიებას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი და თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია დაესწრნენ.

წარმოდგენა საქართველოს აუდიოფონდში დაცული ქართველი პოეტების ხმის უნიკალური ჩანაწერებისა და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილი მუსიკის ნაერთია. ღონისძიების სტუმრებმა მოისმინეს **აკაკი წერეთლის** „განთიადის“, **პაოლო იაშვილის** „მაგიდა ჩემი პარნასის“, **გიორგი ლეონიძის** „ყივჩაღის პაემნის“, **ზურაბ რთველიაშვილის** „მე ვარ ვენახისა“ და **იოსებ გრიშაშვილის** „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ და „აპრილი თბილისში“ აუდიოჩანაწერები. საღამო გახსნა მოდერატორმა, რატი ამაღლობელმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ქართული მწერლობისა და პოეზიის ძველი და ახალი საინტერესო ფაქტები მოუთხრო. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ პოეტები დათო ჩიხლაძე და შოთა იათაშვილი, ხოლო საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ბენ ვილერის, სანდრო ჩინჩალაძისა და ვაჟა მარის ბენდი.

ᲞᲝᲛᲞᲔᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲘᲕᲚᲘᲡᲡᲐ და აგვისტოში, ვანის განახლებულ არქეოლოგიურ მუზეუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოში იტალიის საელჩოს ორგანიზებით, პომპეის საგანძური გამოიფინება. **„სიცოცხლე და სიკვდილი-დიდებული პომპეი,“** — ასე ჰქვია გამოფენას, რომლის ფარგლებში, საქართველოში პირველად იქნება წარმოდგენილი ახალი წელთაღრიცხვის 79 წლის 24 აგვისტოს, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად, ფერფლით დაფარული ძველი რომის ქალაქის-პომპეის ისტორია. პომპეი, როგორც კარგად შემონახული ქალაქი, ანტიკური კულტურის კვლევის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. აღნიშნულ გამოფენასთან დაკავშირებით, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს საქართველოში იტალიის ელჩი, ენრიკო ვალვო ეწვია.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1701; ᲔᲕᲠᲝ - 3.8523;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.4876;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4253; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3781;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8620;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.1074.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +12, ᲓᲦᲔ +32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +9, ᲓᲦᲔ +30
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +12, ᲓᲦᲔ +32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +9, ᲓᲦᲔ +31
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +15, ᲓᲦᲔ +31

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge